

სამართლებრივი პროცესი



2022 წელი, №2. წმინდა ილია ბარძიხის სახელობის სალიბერალური ჟურნალი

უნივერსალური

და

უნივერსალური,

სრულიად



სამართლებრივი კათოლიკოს-პატრიარქის ვულგარული

აღსაყდრების 45 და დაგდება 90 წლის იუბილე!




წმ. აგნატა ბრინანინოვი:

„წმინდა მართლმადიდებელი
ეკლესია აღიარებს, რომ
არ არსებობს კაცის ცოდვა,
რომლის აღხოცაც არ შეეძლოს
უფალ იესო ქრისტეს სისხლს“.

გვერდი 34 მერაბ
მიქაილაძე:

ბედისა და მებადყურის მითით-რედაქციური
ყოფილი მითითების საკითხი



საქართველოს


ქოქი

ზვიად ილია პარტილის სახელობის
სალიტერატურო ჟურნალი

გამოცემის 1996 წლიდან

გამოცემის 26-ე წელი

2022



**წმიდა ილია მართალი,
ევედრა ღმერთსა ჩვენთვის!**

№ 2
2022

ფიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის)

სახელობის სალიტერატურო ჟურნალი

გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მიჰსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მიჰსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი.

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მიჰსცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“



უინაარსი

მრწამსი 5

ფ. ილია მართალი

კარგად წაკითხვა წასაკითხისა 6

კატრიარქი

უფიდადესი და უნეტარესის,, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქადაგება (1978)..... 9

უფიდადესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ფ. ეკატერინეს მონასტერში დაწერილი ლოცვა 11

ვ უ ლ ო ც ა ვ თ

უფიდადესი და უნეტარესის,, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის საიუბილეოდ

სიმონ ჯაფარიძე

იმრავალუამიერე (აკროსტიხი) 15

დეკანოზი ილია ჩიკვაძე

ქართულის მნათობო! 17

ტარიელ ხარხელაური

ბრძანე, მოძღვარო! 18

ჭეშმარიტი სარწმუნოება

წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი

საკუთარი ცოდვის ხედვა	19
არ არსებობს შეუნანებელი ცოდვა. სინანულისათვის. სასოწარკვეთილებისათვის. სასიკვდილო ცოდვები. არასასიკვდილო ცოდვები. ცოდვები სიტყვით და საქმით. ალსარება	24
როგორი უნდა იყოს ერისკაცის სინანული. თავის მოცთუნება. რჩევა-დარიგება ცხონების მსურველებს	27

რელაქტორის ბპერდი

დემკანოზი ილია ჩიკვაძე

მე ვარ ცოდვილი ადამიანი...	29
----------------------------	----

ლიტერატურული ნობათი

მთერ ანაშვილი

ლექსები	31
---------------	----

თარგმანი

ალკეოსი (ძვ. წ. VII ს)

თეოგნიდე (ძვ. წ. VI ს)

(ძველი ბერძნულიდან თარგმნა გიგლა სარიშვილმა)	33
--	----

მეცნიერება

მერაბ მიქელაძე

ბედისა და მებაღურის მითო-რელიგიური ურთიერთმიმართების საკითხი	34
--	----

რელაქტორ-გამომცემელი: დემკანოზი ილია (ჩიკვაძე)

პასუხისმგებელი რელაქტორი: გრიგოლ (გონა) სოზიაშვილი

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოაზრება“

ა
მ
ს
ი



მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს-ზე და ივნო, და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იციემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.


ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

წმინდა ილია მართალი



კარგად წაკითხვა წასაკითხისა

დიდი რამ არის, ვინც იცის, კარგად წაკითხვა წასაკითხისა. ერთი ფრიად სასიამოვნო და ფრიად სასარგებლო ხელოვნება ეგ კარგად წაკითხვაა და ვისაც ამ ხელოვნების უნარი აქვს, შეუძლიან სთქვას, რომ მეც მომმადლებია მაღლი ღვთისაგანაო, არც მე დავევიწყებივარ ჩემს დამბადელსაო. კარგად წაკითხული სიტყვა ერთი ათად აძლიერებს აზრსაც, გრძობასაც, რადგან ერთსაცა და მეორესაც მეტისმეტად ამშვენნიერებს და ამკობს, აცხოველებს და აფერადებს. ამის გამო ხელოვნური, კარგი წაკითხვა არა მარტო სასურველია, სასარგებლოც არის, ნამეტნავად იქ, საცა წასაკითხს საქმე გრძობასთან აქვს, საცა სიტყვამ გულამდე უნდა მიაღწიოს მთელის სავსეობით, მთელის სიღრმე-სიგანით, მთელის თავის მხურვალეობით, რომ გული

მისძრას-მოსძრას, ჩვეულებრივ თვლემისაგან გამოაფხიზლოს და ფრთა შეასხას, ან ნელი-სა და წყნარის აღტაცებისა და სასოებისათვის, ანუ რისხვისა და წყრომის ქარტეხისა და ჭექა-ქუხილისათვის.

ძლიერია თავისთავად სიტყვა. ხოლო რაც გინდ ზედმიწევნილი იყოს, რაც გინდ ზედგამოჭრილი, რაც გინდ მოსწრებული, სიტყვა ბუნებითად მაინც უძლურია მთელი „მზიან-ჩრდილიანობა“ გრძობისა გამოსთქვას უმეტნაკლებოდ. სიტყვას, მთელის ხელოვნების მეოხებით მორთულსა და გაწყობილს, მაინც ბევრი ამისთანა ჰრჩება გამოუთქმელად, რაც მთქმელის გულში ჰბგერს და ჰბგერს და რაშიც საკუთრივ არის ძალღონე მთელის ასე თუ ისე გამოსათქმელ გრძობისა. სიტყვა, ენა კაცისა უღონოა ყოველივე ეს აღმობეჭდოს იქამდე ზედმიწევნით, რომ მსმენელმა იგრძნოს მთელი სავსეობა გულის ძგერისა. მარტო შეწყობილს, შეფერებულს ხმას ადამიანისას ანუ, უკედ ვსთქვათ, წაკითხვას შეუძლიან გაუწიოს სიტყვას იგი სამსახური, რომ საიდუმლო გამოთქმული ბგერა, ბგერა და მოძრაობა გულისა გამომეტყველდეს და მთქმელისაგან მსმენელს გადაეცეს სავსედ და უნაკლულად. აქ ხმა სიტყვას ჰმშველის და სიტყვა ხმასა. მოჭარბებული არ მოგვივა, ვსთქვათ, რომ აქ ცოტად თუ ბევრად სიტყვიერება ჰმუსიკობს და მუსიკა ჰსიტყვიერობს. სწორედ მუსიკა და სიტყვიერება აქ ხელიხელ ჩართულნი არიან აქ და-ძმასავით, რომ ერთმანეთის შემწევობით, ერთიანი გრძობა აღმოშობონ მთელის ზედმიწევნილობით და ძალ-ღონით. ტყუილად კი არა სთქვა სახელოვანმა ლესსინგმა, რომ პოეზია ენამეტყველი მუსიკაა და მუსიკა უტყვი პოეზიააო. აქ რომ სიტყვა „პოეზია“ „სიტყვიერებად“

შეეცვალოთ, დიდი შეცდომა არ მოგვივა, იმიტომ რომ ხმა-შეწყობილი გამოთქმა სიტყვისა, თუნდა უბრალო ლაპარაკში, თუ მთლად მუსიკა არ არის, მისი ერთი დარგია მაინც, რადგანაც მის კანონს ცოტად თუ ბევრად ექვემდებარება.

ასეა თუ ისე, ვერავინ ვერ იტყვის, რომ კარგად წაკითხვა წასაკითხისა ბევრს არ ჰმატებდეს წაკითხულსა და ბევრიგად სასურველი არ იყოს ყველგან საერთოდ და იქ ცალკე, საცა გრძნობა გრძნობას ელაპარაკება, რომ გული აღიდრას ნელისა და წყნარის აღტაცებისა და სასოებისათვის, როგორც ზემოდა ვსთქვით. ეს ამისთანა ადგილი ეკვლესიაა, რომლის ზარი მიიწვევს ხოლმე ხალხს ლოცვისათვის და წასაკითხი კიდევ სამღვთო წერილია, რომლის მაღალმეტყველებამ უნდა გამსჭვალოს მთლი კრებული მლოცველთა ერთიანის სასოებითა და ღვთის მიმართ აღმაფრენით.

ჩვენთა წინაპართა კარგად ესმოდათ, რა დიდი ზემოქმედება აქვს კარგად წაკითხულს სამღვთო წერილს ეკვლესიაში, საცა დიდება და სახელი ღვთისა შეკრებს ხოლმე ღვთის მოსავს ხალხსა საერთო ლოცვისა და ვედრებისათვის. კარგად ესმოდათ და ძვირად აფასებდნენ კარგად მკითხველს მღვდელს, მთავარს – თუ დიაკონსა. ჩვენ ზოგიერთი იმისთანა მაგალითებიც ვიცით, რომ ყმობი-დამაც კი განუთავისუფლებიათ კაცი მარტო იმისთვის, რომ კარგი კითხვა სცოდნია სამღვთო წერილისა. ბევრს, უკვე განსვენებულს მოძღვარს, დღესაც პატივისცემით იხსენიებს ქართველობა კარგი კითხვისათვის. მამა ტარასის, დანიელ ზურიაშვილს და ბევრს სხვას დღესაც ბევრი ჰნატრულობენ და ქებითა და პატივისცემით იხსენიებენ.

ჩვენი უწინდელი სამღვდლოებაც იმის ცდაში იყო, რომ კარგად გაწურთვნილ ყოფილიყო კითხვაში. მათ კარგად იცოდნენ, რომ როცა ვლოცულობთ, ღვთის მიმართ ხელთ აღაყრობა, სარწმუნოებრივი აღტაცება, გულითადი სასოება, გულის ძვრა მაღლი-

სა და სიკეთისათვის ბევრად დამოკიდებულია სამღვთო წერილის კარგად წაკითხვაზედ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ეკვლესია სახლია ღვთისა, სადაც ხალხი თავს იყრის, რომ მღვდელთმსახურთა წინამძღვრობით ერთად ილოცონ, ერთად ევედრონ, ერთად იგემონ ის წყნარი და უცოდველი სიტკბოება, რომელსაც გაღვიძებული გრძნობა საწრმუნოებისა მოუვლენს ხოლმე ღვთისმოსავს ადამიანს. აი რა მიიზიდავდა, რა მიიწვევდა ხოლმე ჩვენში მლოცველს წირვა-ლოცვაზედ უწინდელს დროში.

იესო ქრისტემ ბრძანა, საცა ორი და სამი შეიკრიბებით სახელითა ჩემითა, მეც თქვენთანა ვარო და ეკვლესიამ წირვაა თუ ლოცვაა უნდა გვაგრძნობინოს ჩვენთან ყოფნა ქრისტესი, როცა ერთად თავმოყრილი ვართ ეკვლესიაში. ამას მარტო კარგად და სასოებით გამოთქმული ლოცვით, კარგად და სასოებით წაკითხულ სამღვთო წერილით გვაგრძნობინებს ხოლმე იგი წმინდა საკრებულო, რომელსაც სახლი ღვთისა ქვიან. აი მიზეზი, რომ დიდი და პატარა უწინდელ დროში მისწრაფოდა სალოცავად, როცა წირვისა და ლოცვის ზარი სამრეკლოდამ გაიხმაურებდა.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ქართულად კარგი მკითხველი სამღვთო წერილისა იშვიათია და ძნელად მოიპოვება ჩვენს სამღვდელოებაში. დღეს აღარავის მიაჩნია სასიქადულოდ კარგად კითხვა ეკვლესიაში და ეს არცოდნა კითხვისა მით უფრო უნდა ემძიმებოდეს სამღვდელოებას, მით უფრო შესაწუხებელი უნდა იყოს, რომ, თუ სულ არა, ბევრში მაინც ამაზეა დამოკიდებული მეტნაკლებობა სარწმუნოებრივის გრძნობისა, რომელსაც ეკვლესია დღეყოველ უნდა აღვიძებდეს და აძლიერებდეს. ამისთვის სამღვდელოებას ხელთა აქვს ის დიდებული, მშვენიერი სიტყვიერება ქართულის სამღვთო წერილისა, ქართულის ლოცვებისა, რომლის ძალა, რომლის ზემოქმედება გულს თავის ბუდეში სასოებით შესძრავს ხოლმე, როცა კარგად წაკითხულია, კარგად გამოთქმულია.


ჩვენ კარგა ხანია არ გაგვიგონია ჩვენის სამღვდელოებისაგან კარგად თქმული ლოცვა ან კარგად წაკითხული სამღვთო წერილი ეკლესიაში. არც არსაიდან ისმისლა ხმა, რომ ამისთანანი დღეს იყვნენ სადმე. სამწუხაროა ეს ამბავი და მით უფრო მადლობით სახსენებელია მთავარდიაკვანი კარგარეთელი, რომელმაც დ. ბაქრაძის დასაფლავების დღეს წაიკითხა წმინდა სახარება; მან დაგვანახვა, რომ ჯერ კიდევ – ღვთის მადლით, – ჩვენ, ქართველები, არ გამოვკლებივართ მშვენიერს კითხვას, რომ ჩვენში არიან კიდევ იმისათანა ღვთისმსახურნი, რომელთაც მიმადლებული

აქვთ ნიჭი და ცოდნა, დიდებული მეტყველება სამღვთო წერილისა მსმენელთა გულში უმეტესაკლებოდ აღბეჭდონ და ღვთის მიერ აღთქმული ნუგეშინის ცემა და სასოება ხსნისა უნუგეშოს და უსასოს ღვთისმოსავს მიჰმადლონ. მთავარდიაკვანმა კარგარეთელმა თავის სასახელოდ ეს შესძლო და ეს, ვით იშვიათი ამბავი, მეტი არ არის, რომ ჩვენ ჩვენს მათიანეში შევიტანეთ ჩვენის სამღვდელოების სამაგალითოდ და საყურადღებოდ.

1890 წელი,
ტფილისი, 27 თებერვალი.



ჰ ა ტ ი რ ი ა რ ძ ი



უნმიდესისა და უნეტაიხის, სხელიად საქაითველოს
ჯათოლიკოს-ჰატაიიხის

მცხეთა-თბილისის მთავაიჰუპისკოპოსის,
ბიჭვინთისა და ცხემ-აფხაზეთის მიტოპოლიტის
ილია II - ის
ქადაგება

სიყვარული ღვთისა და სიყვარული ადამიანისა

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა...

კაცობრიობის წინაშე მუდამ იღვა და ღვას
მეტად მნიშვნელოვანი საკითხები:

რა არის ადამიანის ცხოვრება?

ვინ არის ადამიანი?

საიდან მოვიდა, ან საით მიდის იგი?

ეს კითხვები მუდამ აწუხებდა კაცობრი-
ობას.

ინტერესი არც ღღეს შენელებულა და არც
მომავალში შენელებდა...

ადამიანი არის არსება, რომელიც შე-
ქმნა ღმერთმა ხატად და მსგავსად თვის-

სა; ადამიანი არის არსება, რომელიც ცხოვ-
რობს დედამიწაზე; ადამიანმა უნდა გაიაროს
განსაცდელი დედამიწისა და წარდგეს წი-
ნაშე ღვთისა.

მაშასადამე, მიზანი ადამიანის ცხოვრებისა
ყოფილა მიახლოება ღმერთთან. ღმერთთან და
კიდევ... მის ირგვლივ მყოფ ადამიანებთან...

სიყვარული ღვთისა და სიყვარული ადა-
მიანისა – ესაა მთავარი, ამას გვასწავლის
სახარება. მთელი საღმრთო წერილის შინაარ-
სი არის სწორედ სიყვარული ღვთისა და სი-
ყვარული ადამიანისა.

ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, უნდა სწამდეს და უყვარდეს ღმერთი. რწმენა არის საფუძველი ადამიანის ცხოვრებისა.

ადამიანი ვერ იქნება ბედნიერი, თუ მას არა აქვს რწმენა. ვერავითარი მატერიალური სიმდიდრე ვერ შეავსებს იმ სიცარიელეს, რაც არსებობს ადამიანში, როცა მასში არ არის ღმერთი. ადამიანს აქვს მრავალი მისწრაფება. იგი ცდილობს მიიღოს განათლება, ცოდნა... მაგრამ ეს არ კმარა... ამით იგი ბოლომდე ბედნიერი მაინც ვერ იქნება. თვითონაც გრძნობას ამას... გრძნობს, რომ რაღაც სხვა სჭირდება და ეძიებს ამ სხვას... ცდილობს, უზრუნველყოფილი იყოს მატერიალურად, ჰყავდეს ოჯახი, შვილები, ნათესავები, მეგობრები... ჰქონდეს კარგი, კეთილმოწყობილი სახლი... მაგრამ როდესაც აღწევს ყველაფერ ამას, ხედავს, რომ არც ეს ყოფილა მთავარი... ამაში არ ყოფილა ბედნიერება. ყველას თავისი გზა აქვს. ყველა სხვადასხვა გზით ეძიებს ბედნიერებას... ზოგი პოულობს, ზოგი კი - ვერა. რა არის ამის მიზეზი? საქმე ის არის, რომ ადამიანს უსათუოდ სჭირდება ღვთის რწმენა. თუ მას არ უყვარს ღმერთი... უფრო ზუსტად, ღმერთი და ადამიანი, იგი ვერასოდეს ვერ იქნება ბედნიერი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა რწმენა და სიყვარული.

ადამიანს ღმერთმა მიანიჭა თავისუფალი ნება... ეს ნება კი შეიძლება სიკეთისკენაც წარიმართოს და სიბოროტისკენაც... ეს უკვე თვით ადამიანზეა დამოკიდებული. ასეთი თავისუფლება ღმერთს არ მიუცია არცერთი სხვა

არსებისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ თავისუფლებით ადამიანი ხშირად ისე ვერ სარგებლობს, როგორც საჭიროა. ხშირად ამას ბოროტად იყენებს და ნაკლებად ფიქრობს საკუთარი სულისა და სხვა ადამიანთა სასიკეთოდ. ჩვენი მიზანია, ისე წარვმართოთ ადამიანის ნება, რომ იგი ღვთის განგებასა და მცნებას ღვთისას არ ეწინააღმდეგებოდეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს როგორც ღვთაებრივი, ისე ადამიანური ენერგია. და როცა ორი ენერგია არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, როცა ისინი ერთი მიმართულებით მიდიან, ადამიანი დგას კეთილ გზაზე, დგას ცხოვნების გზაზე და იგი მიდის ღმერთთან, უახლოვდება ღმერთს... ხოლო, როცა ადამიანი უახლოვდება ღმერთს, უახლოვდება ადამიანსაც.

არ შეიძლება ითქვას: - ჩვენ გვიყვარს ღმერთი, მაგრამ არ გვიყვარს ადამიანი... უსიყვარულოდ შეუძლებელია ცხოვრება, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი; გვიყვარდეს, თუ გვინდა ვიპოვოთ ღმერთთან მისასვლელი გზა... თუ გვინდა ვიყოთ ბედნიერნი. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიპოვებს ადამიანი მაღლსა ღვთისასა, სულიერად გაძლიერდება და ამაღლდება.

როდესაც მყარდება კავშირი მიწასა და ზეცას შორის, როდესაც ადამიანი აღწევს ამას, ის ძლიერია, ძლიერია სულით და ძლიერია ხორციით.

1978 წ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II



უნმიდესისა და უნეტახის, სხეიად საქათველოს ჯათოლიქოს-ჰატხიხის

მცხეთა-თბილისის მთავაჰჰისჰოსის,
ბიჭვინთისა და ცხემ-აფხაზეთის მიქოჰოლიქის
იღია II - ის
ლოცვა

ეს ლოცვა უწმინდესმა და უნეტარესმა დაწერა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, ხოლო წარმოთქვა სინას მთის წვერზე, სადაც უფალმა მოსე წინასწარმეტყველს ათი მცნება უბოძა.

მამაო ჩვენო, ღიღება შენდა!
ძეო ღმრთისაო, ღიღება შენდა!
სულო წმიდაო, ღიღება შენდა!
ყოვლადწმიდა სამებაო, ერთარსებაო, შემო-
ქმელო და განმგებელო ორსავ სამყაროსაო,
ღიღება შენდა!

ვითარ ვთქვა ქება მე უღირსმან და
გლახაკმან შემკობად შენდა; გონება ჩემი და
გული ჩემი ვერ შემძლებელ არს გამოთქმად
ღიღებისა შენისა. გარნა გვედრი, მიითუალე
იგი, ვითარცა უმეცარი სიტყუა ყრმისა მშობ-
ლისა მიმართ. ბაგითა ჩემითა მით ცოდვილ-
ითა, ღმერთო ჩემო, შენ შეგლადღებს ერი
ჩემი, შენს მიერ შეყვარებული.

უფალო ჩემო, შენ გიგალობენ სერაფიმნი
და ქერუბიმნი, მთამარანგელოზნი და ანგე-
ლოზნი, ურიცხვნი ძალნი ზეციურნი. მე რა
ვთქვა, როგორ შეგასხა ქება? ან რა საქმე-
ნი გიჩვენო; ოდეს ღვაწლითა თვისითა გან-
ბრწყინდნენ წინასწარმეტყველნი, მოციქულ-
ნი, მოწამენი, მღვდელმთავარნი, ღირსნი მა-
მანი და ყოველნი სხვანი წმიდანნი შენნი?

ვითარ სახელ გსდვა? არა უწყი. დამიღუმ-
და ენა ჩემი წინაშე ღიღებისა შენისა. ვიცი
ოდენ, რომ ჩვენთანა ხარ და არა განგვეშორე-
ბი, რომ ხარ დაუსაბამო და უსასრულო სი-
ყვარული, რომ თბილა შენთან და გარეშე
შენსა არა არს ცხოვრება ჩვენი.

წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო სა-
ბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანაი ღიღებ-
ითა შენითა!

ღიღებაი შენი, ვითარცა სიყვარული შენი,
დაუტეველი შენში, ეფინება ყოველსა ქმულ-
სა შენსა. და ჩვენც მდაბალნი ზიარებულნი
მადლსა შენსა ღიღებისასა ვმადლდებით უფა-
ლო, ვიწმიდებით, მამაო ჩვენო.

მსგავსად წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე
ოქროპირისა, მე, ცოდვილი მონა შენი, იღია
II, ყოველთა ქართველთა სახელით ვხმობ:
„ღიღება და მადლობა შენდა ყოვლისათვის“,
გადიღებ შენ, რომელი ყოველგან ხარ, რომე-
ლი ხარ ჩვენთან და რომლისა წიადშიც ვართ
ჩვენ, გადიღებ შენ, რომელმან სავანედ თვისსა
აღირჩიე გული ჩვენი და მუნითგან გვსწავლი
და გვწვრთნი, ვითარცა ასწავებდი მოსეს და
ელიას ქორების წმიდასა მთასა ზედა.

გადიღებ შენ და გმადლობ შენ, მოწყა-
ლეო, რამეთუ გვქმენ მსგავსად შენდა, რამე-
თუ მოგვანიჭე ენა ქართული და რწმენა ჭეშ-
მარიტი, სიყვარული ღმრთისა და სიყვარუ-
ლი მოყვასისა, მოგვფინენ ნათელი გონებისა
და ჭეშმარიტებაი მეცნიერებისა!

გარნა რაი არს ჭეშმარიტი?

ადამის მოდგმა დასაბამიდან ეძიებდა მას.
ერნი მრავალნი, ჩვენზე ძლიერნი, მოსწყდნენ
და აღიხოცნენ პირისაგან მიწისა მის ძიება-
ში. ჩვენზე მოიღე მოწყალეობა სახიერო და
გამოგვიცხადე თავი შენი, და ოდეს კაცობრი-
ობას მოუვლინე მე შენი საყვარელი, უფა-
ლი ჩვენი იესო ქრისტე, შენი კურთხევით,
შენი წყალობით ერმა ჩემმა ისმინა მისი, შეი-
სისხლხორცა მცნებანი მისნი შენგნით ბოძე-

ბულნი, სიყვარულით იტვირთა უღელი მისი ტკბლი და ტვირთი მისი სუბუქი. ამისთვის გმადლობთ შენ, რამეთუ მოძღვრავდი და მოძღვრავ ხალხსა ჩემსა, ატარებ რა მას გზითა მით შენითა იწროითა, ვითარცა ატარებდი ერსა ისრაელისასა უდაბნოთა შინა.

გმადლობ მამაო უფალო, რამეთუ გვრწამს და აღვიარებთ, სულსა წმიდასა შენგნით გამოვალსა, სულსა, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე ადავსებს მაღლითა შენითა; რომელი არს უძღურთა მკურნალი, დაცემულთა საყრდენი, ნაკლულევანთა სრულმყოფელი. გმადლობ შენ, წმიდაო სამებაო, აღმავსებლო ჩვენო ძალითა შენითაო.

და კვლავ გმადლობ შენ, ღმერთო ჩემო, იმ მრავალთა წყალობისათვის, რომელი გარდმოავლინე, თავსა ზედა ჩემსა, რომე დამადგინე მოძღვრად ერისა შენისა ივერიისა. ხოლო დღეს მონა შენი ცოდვილი ღირს მყავ ხილვად წმიდისა მთისა ამისა და თავყანისცემად ღიდისა სიწმიდისა მისისა.

„ითხოვდით და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგელოს თქვენ“, - ბრძანებს მაცხოვარი და იტყვის ესე: „რასაცა ითხოვდით მამისაგან სახელითა ჩემითა, გეყოს თქვენ“. მამაო სახიერო, გევედრები სახელითა ძისა შენისათა, ნუ განეშორები ერსა ჩვენსა, შეცოდებათა გამო ჩვენთა; მოგვიძიენ ვითარცა მამაი მოიძიებს ძესა თვისსა წარწყმედულსა; შეგვიძინე ურწმუნოებაი, გულფიცხოებაი, ამპარტავნებაი, შური და ვერცხლისმოყვარებაი, გეაჯებით, აღხოცენ ცოდვანი ჩვენნი და განკურნენ სულნი ჩვენნი ვნებულნი. მოგვმადლე, სარწმუნოებაი ჭეშმარიტი, ძალი წყლისა და ძლიერებაი ცეცხლისა, აღგვავესე მაღლითა ყოვლადწმიდისა სამებისა, სარწმუნოებასა და სიყვარულსა შინა შენსა, სულიერად განამტკიცე მთავრობა ჩვენი, გვაკურთხე მშვიდობითა, უფალო, მოგვფინე სული სიწმიდისაი, თავმდაბლობისაი და მოთმინებისაი.

განამრავლენ შვილნი და შვილთა შვილნი ჩვენნი, გული წმიდაი დაბადე მათ შორის, სული წრფელი განუახლე გვამსა მათ შინა.

აკურთხე გვირგვინი ქორწინებულთა და სიყვარულითა განამტკიცე კავშირი მათი, ცოდვანი სიჭაბუკისა და უმეცრებისანი შეუნდევე და ნათელ ჰყავ მომავალი მათი.

სრულასაკოვანთა მიჰმადლე გული ბრძენი და მოწყალე, გონება საღი, რათა გიცნან შენ და აღასრულონ ნებაი შენი.

მხცოვანთა წელნი აკურთხენ სიმშვიდითა. განამრავლენ მოდგმა მათი, ცხოვრება მათი სათნო ჰყავ, რათა უშფოთველად შეერთონ საუკუნეთა.

გევედრები უფალო, განუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა ჩვენთა. დალოცე საქმე მათი, რათა იქმნას ნაღვაწი მათი საკეთილოდ ქვეყნისა, რათა შრომითა თვისითა გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა შენსა ივერიისასა.

დალოცე ჩვენი მშრომელი ხალხი, ყოველი მაშვრალი და ტვირთმძიმე. ჩვენთა ღიდა წინაპართა რწმენა, სიყვარული და სიწმინდე მიანიჭე მათ.

ღმერთო, განამტკიცე და განამლიერე ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესია და მღვდელმსახურნი მისნი, ყვენ იგინი ნათელ ერისა, აღადგინე ტაძარი და მონასტერნი ჩვენნი და შეგვკრიბე საფარველსა ქუეშე შენსა.

გარნა რა გთხოვო, უფალო, მათთვის, რომელნი უარგოფენ შენ, რომელნი ვლენან გზასა ცთომილთასა? გეაჯები, შეიწყალენ იგინი, მოაქციე და მრევლსა შენსა შეუერთე: „რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“.

მერმეცა გევედრები ღმერთო, რათა მოიხსენო სასუფეველსა შენსა სულნი ქართველთა მოღვაწეთა სინას მთისათა, გევედრები, რათა მოიხსენო მეფენი და დედოფალნი ჩვენნი, მამამთავარნი, კათოლიკოს-პატრიარქნი, სამღვდელლო და სამონაზვნო წესით აღსრულებულში, პატიოსანი შრომით დაღლილნი, აღმშენებელნი ტაძართა და მონასტერთა, ბრძოლის ველზე მოწყევტილნი და ყოველნი შვილნი შენნი ქართველნი. დალოცე სავანენი ზეციურისა საქართველოისა, შეუნდე შეცოდებულთა და იხსენ ტანჯვისაგან, მოჰფინე მათ ნათელი შენი და სიყვარული შენი.

მუხლმოდრეკილი აღვაკვლენ ლოცვებს, უფალო, მშვიდობისათვის სოფლისა, რათა სუფეველეს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება: მამაო წმიდაო, გეაჯები, შეისმინე ლოცვისა ჩემისაი და დაგვიფარე ჩვენ!

დასაბამო და მიზეზო ყოვლისაო, არსთაგამრიგეო, სავსე ღიდათა წყალობითა

შენითა კვალად ვხმობ: „დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა! დიდება შენდა შემოქმედო ჩვენო, მწყალობელო ჩვენო, დიდება შენდა! დიდება შენდა, ღმერთო ერისა ჩვენისაო, რომელმან დაწერე სახელნი ჩვენნი წიგნსა მას ცხოვრებისა კრავისასა!

„მე ვარ ანი და ჰოე, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და, რომელი იყო და, რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხადება 1,8)

მოვედ ჩვენთანა უფალო, და გვაცხოვნენ ჩვენ ღმერთო ჩვენო, ამინ!



სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის წმინდა ილიის ხსენება



წმინდა ილია

წმინდა ილიას და წმინდა ილიას

წმინდა ილიის ხსენების 45 და დასაწყისად ილიის ხსენება

„არაერთხელ მითქვამს, რომ არის წინასწარმეტყველება, რომელიც ყოველად წმინდა ილიის ხსენებისგან მოისმინეს ჩვენმა წინაპრებმა ათონის ივერთა მონასტერში. „საქართველო გაბრწყინდება უკანასკნელ ჟამს“. ამ სულიერ გაბრწყინებას ველით ჩვენ...“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

სიმონ ჯაფარიძე

იმრაკალჟამიერი

ერის იმედად მოვლინებულს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს დაბადების 80,
მღვდელმთავრობის 50 და აღსაყდრების 35 წლის აღსანიშნავად

„ანგელოზნი აღვიარებენ, ადამიანნი აღიღებენ ღუაწლსა შენსა“...

სტეფანე ჭყონდიდელი, X ს.
(საგალობელი სტეფანე პირველმოწამისა)

მრში მრეველი ამრავლე, რწმენით ვისაც უვლია,
რაც წრფელია – სრულია, გემართებს სამადლობელი.
ოს, რაც იწვის – ანათებს! გული ანთებულია,
საუკუნოდ ნაწვეთი წამით, წამწამთ მსწრობელით...
ოსევ გვზრდის და გვენდობა – მიწა გვიწვევს დედობას,
მიწა-წილი ღვთისმშობლის, მიწა – უფლის დედული;
მრმა უნდა იეროს, აღარ ენდოს უნდობარს, –
ღღემდე ნარ-ეკლიანი გზები გამოვლილია...
ბცისკროვნე მზის ჭადი, ცის თაღზე რომ ჰკიდიას!
ღიღია ცის სამყარო, ცისარტყელა – ხიღია...
მყინვარწვერის მწვერვალზე მზის სხივები ელვარებს:
ოთხმოცი წლის ნეტარის დიდი იუბილეა!
მერც უგზობამ შეაკართო, ვერც გზამ ნარ-ეკლიანმა,
ლაბირინთებს სულისა ჩასწვდა უნეტარესი,
იწვის, სანთლად იღვრება უფლის ხატის წინაშე,
ნუმც დაკნინდეს სიკეთე, ნუმც დამცირდეს დიადი, –
მრის ზვარში დარგულმა ვაზმა უნდა იხაროს!..
ბევრჯერ ითენ-ილამა ზეცამ, საგანთიადომ,
შსასრულო სიბნელე სხივმა გადაგვიკარა,
ლალისფერი სივრციდან აღმა ისევ იალა:
სხივმოსილი გაბრწყინდა ღვაწლი ნაამაგარი...

შსაზღვროა სამყარო,
წამი – წამწამთმსწრობელი!
მზე, ცის საკურთხეველზე,
იწვის ჩაუქრობელი,
ნისლით ნაბადმოსხმული
ღიღი ღამის ჩრდილია
მრში თუკი აქა-იქ
სანთელს არ უკიღია, –
სულიერი მოძღვარის
ღიღზე დიდი წვლილია
ბებედითი გზები რომ
შკვე გამოვლილია!
ნათლის სვეტთან მნათობის
მრს გაუბა ლარები,
ტაძრის ბჭენი ამალღდნენ,
ახმიანდნენ ზარები!
რადგან გაღებულია
მკლესიის კარები,
სინათლემ გაგვინათლა

სულიერი ძალები...
 სწამს და ერი გენდობა:
 ბინთება კელაპტრად
 ქართველობის ერთობა
 ადრინდელი დიდებით!
 რომ იქ, – უფლის წყალობით, –
 თავისუფალ სივრცეში
 შიდრე დარნი დარობენ,
 მრი დააგუგუნებს
 ლილეს – მზის საგალობელს!
 ოდეს ტაძარს, სიმტკიცედ,
 სალი კლდე აქვს რწმენისა,
 კათედრალის აღმართვით
 აღგვიდგინე რწმენის გზა!
 თავს ჯვრიანი გუმბათის
 ოქრო უმკობს კათედრალს,
 ლოცვით სხივი უმრავლე
 ივერიას – ნათელთა!
 კანონთშემოქმედი თუ
 ორთაშორის სიმართლეს
 სჯის სინდისის სახელით –
 პირბასრია იმ განსჯის
 ალესილი მახვილი!..
 ტვირთმძიმეთა მდინარე
 რადგან გასავლელია,
 ის გადივლის იოლად,
 აზრით ვინც გულწრფელია.
 რწმენით ვინც ეზიარა, –
 ქვეყნის ხსნის გზა ეძია,
 სარგებელი კი არა...
 ის რაც იწვის ნათდება
 ლამაზ ათინათებად,
 იმედების ლაჟვარდებს
 აელვარებს ციერი,
 მზისქვეშეთის საუფლოს
 მმრავალჟამიერე,
 ორი ათასწლეული
 რომ შეჰკრა საუკუნით!
 ეკლესია ზარს რეკავს
 საქართველო გუგუნებს!...

დეკანოზი ილია ჩიკვაძე

ქართვლის მნათობო!

უწმინდესა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს
ილია II-ს

ქართვლის მნათობო,
ქარ-ბორბალას როგორ გავექცეთ,
თავს დაგვტრიალებ
სიხარულის, ტანჯვის დღეებში,
ლოცვით გიჭირავს
ეს ცა, თავზე რომ არ დაგვექცეს
და არ ჩაგვმარხოს
ბაბილონის ბილწ ნანგრევებში.

შენი ხმა მამულს ესალბუნებ-ესასოება,
ვენახ-მტევნებში ამართულა, როგორც ხარდანი;
ჩვენს ჭრილობებში
ჩაბელტილი გველის შხამია,
დაბნეულ ქართველს გულ-გონება გადაელაღა,
ლოცვებმან შენმან შეაკავეს ღვთის მრისხანება
და შენს ცრემლებში
დაწმენდილა ჩვენი ქვეყანა.

ხელით გიპრყია
ცრემლ-ლოცვებით გადაბანილი
სამშობლოს გული ნოეს წმინდა კიდობანივით.

სოფლისა თავზე მობრიალე არწივ-ლომი ხარ,
ეს კლდე-მინდვრები დაჩეხილი შენი ტანია;
ცრემლით და ლოცვით
მოთმინების გზას შესდგომიხარ
და ჩვენი ცოდვა გოლგოთაზე აგიტანია.

იქ მიუწვდემელ ბალ-ვენახში ჰყვავის ხეხილი,
სიწმინდით შენით მეომარი აღსდგა მონიდან,
დგას საქართველო დამეწყრილი და დამეხილი
და გველ-ვეშაპი მოიჩქარის ბაბილონიდან.

შენ გვიხმობ ცისკენ,
ჩვენ კი უფალს როგორ დავშორდით,
და მაინც გვინდა
ჩვენს განზრახვებს ღმერთის გზა ერქვას...
წმინდა მამაო, გადაგლალეთ ჩვენი ბავშვობით,
თუმცა ამ ცოდვებს
ურჯულობა უნდა დაერქვას.

უქარტეხილოდ არც ყოფილან ჩვენი დღეები,
ჩვენ დღეთა მათთა ბინადარნი ვით გვიყელებენ,
რას ღალადებენ, უწმინდესო, ეს ნანგრევები
ან ეს ცა-მთები, ეს ველები რას მეტყველებენ.

ო, სულნათელო,
მაცხოვრისა მოგვეც მშვიდობა,
დღეს ხმალ-აბჯარი
შეგვეწყდომია ტანზე ღილივით,
გვარწყულ-გვაპურებს
ეგ სიმშვიდე და სულდიდობა,
ლოცვით, კურთხევა-სიყვარულით,
ღვთიურ ღიმილით,

მიწის ბნელეთში
შეხიზნულა ყრმა პირტიტველი,
ჭაბუკმან მრწემმან დედის გული ვერ გაახარა,
როგორ დაგლალეთ,
ჩვენი ცოდვის ცრემლით მტვირთველო,
ქართული დარდით დაბარდნილა შენი ჭალარა.

შენი ხმა მამულს ესალბუნებ-ესასოება,
ვენახ-მტევნებში ამართულა, როგორც ხარდანი;
ცოდვებმან ჩვენმან შეაწუხეს ღვთის სათნოება,
ცოდვებმან ჩვენმან
განარისხეს ღვთის სამართალი;

ჰგავს საქართველო
სამშვიდობოს გასულ კიდობანს,
თავს შენი კვერთხი
დასდგომია ზეთისხილივით.

ტარიელ ხარხელაური

ბრძანე, მოძღვარო

მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
ილია მეორეს

ბრძანე, მოძღვარო, გონებავ ერის,
უნდა ვდუმდეთ და უნდა ვიფრთხილოთ?
სულებს გვირყვნის და გვიწამლავს მტერი,
ვითმინოთ?!

როცა ჩვენს თვალწინ წმინდანებს რყვნიან,
უწმინდეს შუბლებს ფურთხით ბილწავენ,
თუ შენთვის მკერდს არ მივუშვერ ტყვიას,
სამშობლოვ, ხატად რისთვის გიწამე.

ბრძანე, მოძღვარო, დღეს ერის გული
შენს გონებაზე მიბმული ფეთქავს.

ბრძანე, მოძღვარო, გაიმცვრა სული,
დაავადა შიშმა და კეთრმა.

ბრძანე, მოძღვარო, ნათელს, ისეც მწირს
შემოაძარცვეს კალთა ქარებმა,

ბრძანე, მოძღვარო, სისხლი სისხლის წილ,
დავუღოთ ზღვარი ამ მოკრძალებას!

თორემ სამშობლოს თავზე გვაქცევენ,
სამშობლოს ჩვენსას – უფლის მშვენიებას,
აღარ უშველის მერე არც ცრემლი
ჩვენს აღდგომას და აღმოცენებას.


ბრძანე, მოძღვარო, ვგავარ სამკვლავს
და ყველა ნერვი არის გამწყდარი,
მოძღვარო, დროშა გამოაბრძანე,
საქართველოსთვის ლოცვით დაგვძარი!

ბრძანე, ბრძენკაცო, ჯერ კიდევ დროა,
ვიდრე ძარღვებში სისხლი მოძრაობს,
ვიდრემდის ცრემლებს სისხლის გემო აქვთ,
ვიდრე სიკვდილი გვილხინს, მოძღვარო!

ვიდრე ქართულ ჯიშს აქცევენ არცრად,
გადაუჭერენ მკერდზე არტახებს,
მთლად ეს სამყარო ქცეულა ნაცრად,
თუ საქართველო ამიპარტახეს.



ჭეშმარიტი სარწმუნოება



წმ. ეპნატე ბრინანინოვი

საკუთარი ცოდვის ხელვა



ის საშინელი ჟამიც მოვა, დადგება ის საშინელი წამიც, როდესაც ყველა ჩვენი ცოდვა შიშველი წარსდგება მსაჯულის - ღმერთის, მის ანგელოზთა, მთელი კაცობრიობის წინაშე. წინასწარ ვგრძნობ ჩემი სულის მდგომარეობას იმ მრისხანე ჟამს და ვძრწვი. ასეთი ცოცხალი და მძლავრი წინათგრძნობით შეპყრობილი, ვჩქარობ შევეუდგე საკუთარი სულის განხილვას, შევამოწმო ჩემი სინდისის წიგნში ჩაწერილი ცოდვები - საქმით, სიტყვით თუ გულისსიტყვით ქმნილი.

კარგა ხნის გადაუშლელ, კარადებში შენახულ წიგნებს მტვერი ედება, ჩრჩილი ჭამს, ვინც მათ აიღებს ხელში, წაკითხვა ერთობ გაუჭირდება. ამ წიგნს ჰგავს სწორედ ჩემი სინდისიც: დიდი ხნის ხელუხლებელს

ძლივს შევუღე კარი, ხოლო რაც შიგნით ვნახე, იმან, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ნაკლებად დამაკმაყოფილა. მხოლოდ დიდი ცოდვები ჩანს მკაფიოდ, წვრილი ცოდვების ნუსხა კი თითქმის წაშლილა და ახლა ძნელია გარჩევა, რა იყო იქ ჩაწერილი.

ღმერთს, მხოლოდ ღმერთს ძალუძს, ფერგადასული წარწერები აღადგინოს და იხსნას კაცი თავისი უკეთური სინდისისაგან; მხოლოდ ღმერთს ძალუძს მიანიჭოს მას საკუთარ ცოდვათა ხელვა - ხელვა თავისი დაცემისა, რომელშიც არის ფესვი, თესლი, ჩანასახი, ერთობლიობა კაცთა ყველა ცოდვისა.

ღმრთის მოწყალებას და მისსავე ძლიერებას მოვუხმობ შემწედ, მზურვალე ლოცვას აღვეუვლენ, ამას თან ვურთავ გონივრულ მარხვას, გლოვასა და გულამოსკვნილ ტირილს, მერე კი კვლავ ვცდილობ გადავშალო სინდისის წიგნი, კვლავ ვაკვირდები ჩემს ცოდვათა რიცხვსა და ხარისხს, ვაკვირდები, რა მომიტანეს მათ.

ვხედავ: „რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი აღმატნეს თავსა ჩემსა და ვითარცა ტვირთი მძიმე, დამიმძიმდეს ჩემ ზედა“ (ფსალმ. 37,5). რა შედეგი მოსდევს ასეთ უსჯულოებას? „მეწინეს მე უსჯულოებანი ჩემნი და ვერ უძლე ხილვად, განმიმრავლდეს მე უფროის თმათა თავისა ჩემისათა და გულმან ჩემმან დამიტევა მე“ (იქვე, 39,13). ცოდვილი ცხოვრების შედეგებია გონების სიბრმავე, გულის გასასტიკება და უგრძობელობა. გამოუსწორებელი ცოდვილის გონება ვერც სიკეთეს ხედავს, ვერც ბოროტებას, გული კარგავს რაიმე სულიერი განცდის უნარს. მაშინაც კი, თუ ასეთი კაცი ცოდვილ ცხოვრებას მიატოვებს და ღმრთის

სათნო მოღვაწეობას შეუდგება, მისი გული, თითქოს სხვისიაო, არ თანაუგრძნობს ღმერთისკენ მის მიქცევას.

როდესაც, ღმრთის მადლის მოქმედებით, მოღვაწეს თავის ცოდვათა სიმრავლე დაუდგება თვალწინ, შეუძლებელია არ გაოგნდეს, ღრმა მწუხარებამ არ შეიპყროს. „გული ჩემი შეძრწუნდა“ – ასეთი სანახაობით – „და დამიტევა მე ძალმან ჩემმან და ნათელი თუალთა ჩემთა, და იგიცა არა დაადგრა ჩემ თანა... თემონი ჩემნი აღივსნეს ნაგუემთაგან“ (იქვე, 37,11,8), ანუ ჩემი საქმეები შეცდომებით სავსეა ცოდვილი ჩვევის შესისხლხორცების გამო, ეს ჩვევა კი ახალ-ახალი ცოდვებისაკენ მიბიძგებს: „შეყოლოდეს და დალპეს წყლულებანი ჩემნი პირისაგან უგუნურებისა ჩემისა“ (იქვე, 6), ანუ ცოდვილი ვნებები დაძველდნენ ჩემში და სასტიკად დამაზიანეს ჩემი დაუღვარარი ცხოვრების გამო, „არა არს კურნებაა ხორცთა ჩემთა“ (იქვე, 4), ანუ მხოლოდ საკუთარი მცდელობით ვერ მოვიპოვებ კურნებას ცოდვით მოწყვლული და დაზიანებული მთელი ჩემი არსებისათვის.

ჩემი ცოდვების შეგნებით, მათი აღიარებით, მონანიებით ღმრთის მოწყალების უფსკრულს მივანდობ მათ. იმისათვის, რომ სამომავლოდ ვუფრთხილდე ცოდვას, საკუთარ თავთან განვმარტოვდები და ვნახავ, როგორ მოქმედებს ცოდვა ჩემს წინააღმდეგ, როგორ მიახლოვდება, რას ჩამძახის.

ქურდულად მოდის, სახე დაფარული აქვს, „ლბილ იქმნეს სიტყუანი მათნი უფროის ზეთისა“ (ფსალმ. 54,22), ტყუილს მეუბნება, უსჯულოებას მთავაზობს. შხამიანია მისი ბაგე, ენა მისი სასიკვდილო ნესტარია.

„დატკბი!“ – ჩუმაღ, შეპარვით ჩამჩურჩულებს, – „რისთვისა გაქვს ტკობა აკრძალული? განა ეს ცოდვაა?“ – და ეს ბოროტი სული ყოვლად წმიდა უფლის მცნებებას დარღვევას მთავაზობს.

წესით, ყურიც არ უნდა ვათხოვო მის სიტყვებს: ვიცი, რომ ქურდია და მკვლელი. მაგრამ რაღაც უცნაური უძღურება, ნების უძღურება, მერევა! ვისმენ ცოდვის სიტყვებს, ვუმზერ აკრძალულ ხილს. ამოდ მახსენებს სინდისი, რომ ამ ხილის გემოს ხილვა სიკვდილის გემოს ხილვას ნიშნავს.

თუ თვალთ ვერ ვხედავ აკრძალულ ხილს, მოულოდნელად წარმოსახვა მთავაზობს მას, წარმტაც ფერებში, მომხიბლავად მიხატავს.

გული ამ მაცთური სურათისკენ მიმიწევს, მეძავს რომ წააგავს. გარეგნულად მშვენიერია, საცთურის სუნთქვა მოდის მისგან, ძვირფას, ბრწყინვალე სამოსელშია გახვეული, გულმოდგინედ ინიღბება მისი მომაკვდინებელი მოქმედება. ცოდვა მოელის მსხვერპლს გულისაგან, როდესაც ხორცს არ ძალუძს მისი შეწირვა ან ხორციელი უძღურების, ან თვით ცოდვის საგნის უქონლობის გამო.

ცოდვა მოქმედებს ჩემში ცოდვილი აზრით, ცოდვილი განცდით – გულისა თუ გონების გზით, ცოდვა მოქმედებს ხორციელი გრძობებისა თუ წარმოსახვის მეშვეობით.

რა დასკვნამდე მივყავარ საკუთარ თავზე ამგვარ წარმოდგენას? იქამდე, რომ ჩემში, მთელ ჩემს არსებაში, ბუღობს ცოდვით დაზიანება, იგი თანაუგრძნობს და ხელს უწყობს გარედან მოსულ ცოდვას. მძიმე ბორკილებით შეკრულ ტყვეს ვგავარ: ყოველი, ვინც მოისურვებს, თავის ნებაზე ატარებს მას ან რა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია ხელფეხ-შეკრულ ტყვეს?

ცოდვამ ოდესღაც თვით სამოთხეში შეაღწია: იქ შესთავაზა ჩემს წინაპრებს აკრძალული ხილი, იქ აცთუნა ისინი, ცთუნების შემდეგ კი საუკუნო სიკვდილით მოსწყლა. და მე, მათ შთამომავალს, განუწყვეტლივ მიმეორებს იმავე წინადადებას; და მე, მათ შთამომავალს, განუწყვეტლივ მიქადის ცთუნებასა და წარწყმედას.

აღამ და ევა ცოდვით დაცემის უმაღლესი განიდევნენ სამოთხიდან და ტანჯვის ქვეყანაში დაემკვიდრნენ (დაბ. 23-24), მე ტანჯვისა და ვაების ამ ქვეყანაში დავიბადე! მაგრამ ეს არ მამართლებს: მაცხოვარმა აქ მოიტანა სამოთხე, ჩემს გულში დანერგა. მე ჩემი ცოდვით განვდევნე სამოთხე საკუთარი გულიდან. ახლა იქ კეთილისა და ბოროტის აღრევა მეფობს, იქ არის სასტიკი ბრძოლა ბოროტებასთან, იქ უამრავი ვნება ეჯახება ერთმანეთს, იქა ღვას ტანჯვა - ჯოჯოხეთის ტანჯვის წინამავალი.

ვხედავ ჩემს თავში იმის მოწმობას, რომ აღამის მე ვარ: ბოროტისაკენ მისი მიდრეკილება მეც გადმომეცა, მაცთურის წინადადებას

ვეთანხმები, თუმცა წინასწარ ვიცი, რომ სიცრუეს მთავაზობენ და მოკვლას მიპირებენ.

ამაო ცდაა საკუთარი ცოდვების წინაპრებისთვის გადაბრალება, თითქოს ისინი მათგან გადმომეცა მემკვიდრეობით: ცოდვის ტყვეობისგან მაცხოვარმა გამათავისუფლა, ახალ ცოდვებს ჩემი ნებით ჩავდივარ და არა იძულებით.

წინაპრებმა ერთხელ გატეხეს სამოთხეში ერთი მცნება, მე კი, ქრისტეს ეკლესიის წიაღში მყოფი, განუწყვეტლივ ვარდევ ქრისტეს, ჩემი ღმერთისა და მაცხოვარის ყველა მცნებას.

ჩემს გულს ხან მრისხანება და ძვირისხსენება იპყრობს: წარმოვიდგენ, რომ ჩემი მტრის თავზე მახვილია აღმართული და ამ დროს გულში შურისძიება ზეიმობს; ხან აქაიქ გაფანტული ოქროს ზოდები მეღანდება, მათ კვალდაკვალ კი ბრწყინვალე დარბაზები, ბალები, ფუფუნების საგნები, ტკობის, ამპარტავნების დაკმაყოფილების ათასი საშუალება: ყველაფერი, რასაც ოქრო იძლევა და რის გამოც ცოდვისმოყვარე კაცი თავგანს სცემს ამ კერპს - ყოველი ხრწნადი სურვილის ახდენის გზას. ხანდახან პატივი და დიდება მხიბლავს! აყვები ხოლმე ადამიანებისა და ქვეყნების მართვაზე ოცნებას, გემებს ვაწყობ, როგორ მოვუპოვებ მათ ხრწნად სიკეთეებს, საკუთარ თავს კი - ხრწნად დიდებას!

ვნებები ეღაგებიან ჩემს თავს ურთიერთს, ურთიერთს გადასცემენ, შფოთსა და ღელვას მითესავენ გულში. მე კი ვერც ვხედავ ჩემს უბადრუკ ყოფას!

გონებას შავი, გაუმჭვირვალე ფარდა ფარავს, გულს უგრძობელობის მძიმე ლოდი აღევს.

გამოიღვიძებს კი ოდესმე ჩემი გონება, მოისურვებს კი, რომ სიკეთისაკენ იცვალოს გეზი? ამას წინ აღუდგება ცოდვილ ტკობას შეჩვეული ჩემი გული, პირუტყვულ გულისთქმებს აყოლილი ჩემი ხორცი. იმის ცოდნაც კი დაკარგული მაქვს, რომ ჩემს ხორცს, საუკუნო ცხოვრებისთვის შექმნილს, ღვთაებრივი სურვილებისა და მოქმედების უნარიც შესწევს, და რომ პირუტყვული გულისთქმები მასში დაცემით შეტანილი სნეულებაა.

ჩემი არსების სხვადასხვა ნაწილები: გონება, გული და ხორცი გაყოფილნი არიან, მათ შორის თანხმობა არ არის, შუღლია ჩამოვარდნილი, და მხოლოდ ცოდვის ჩადენისას ამყარებენ წუთიერ, ღმრთის წინააღმდეგომ ერთობას.

ასეთი გახლავთ ჩემი მდგომარეობა! ესაა სულის სიკვდილი - მაშინ, როდესაც ხორცი ჯერ კიდევ ცოცხალია. მაგრამ მე კმაყოფილი ვარ ამ ჩემი მდგომარეობით! კმაყოფილი ვარ არა ჩემი სიმდაბლის, არამედ სიბრძავის გამო. სული ვერ გრძნობს, რომ მკვდარია, ისევე, როგორც ვერ გრძნობს თავის სიკვდილს სულთან გაყრილი ხორცი.

მე რომ საკუთარ სიკვდილს ვგრძნობდე, განუწყვეტელ სინანულში ვიქნებოდი, მე რომ საკუთარ სიკვდილს ვგრძნობდე, აღდგომისათვის ვიზრუნებდი!

მე კი მუდამ ამა სოფლის ზრუნვითა ვარ შეპყრობილი, ნაკლებად მაფიქრებს ჩემი სულიერი უბადრუკობა! სასტიკად განვიკითხავ სხვის სულ მცირე ცოდვასაც კი, ხოლო მე თვითონ ცოდვით სავსე ვარ, ცოდვით ვარ დაბრძავებული, ლოთის ცოლის მსგავსად, მარილის ლოდად ვიქეცი და აღარ ძალმიძს არავითარი სულიერი წინსვლა.

სინანული ვერ მოვიპოვე, რადგან ჯერ კიდევ ვერ ვხედავ საკუთარ ცოდვას. ვერ ვხედავ მას, რადგან ჯერ კიდევ მისი მონა ვარ. ვერ დაინახავს საკუთარ ცოდვას ის, ვინც ტკება ცოდვით, ვინც აძლევს თავს უფლებას იგემოს იგი - თუნდაც მხოლოდ გონებით და გულისსიტყვით.

საკუთარი ცოდვის ხედავა მხოლოდ მას ძალუძს, ვინც მტკიცედ, მთელი ნებისყოფის მოკრებით უარყო ყოველგვარი კავშირი ცოდვასთან, ვინც საკუთარი სახლის - გულის - კართან დგას ხმალამოწვდილი (ეს ხმალი კი არის სიტყვა ღმრთისა), ვინც ამ მახვილით უკუაქცევს და ჩეხავს ცოდვას, რა სახითაც არ უნდა წარმოუდგეს იგი.

ვინც ამ დიდ საქმეს აღასრულებს, ანუ მტრად მოეკიდება ცოდვას, ძალდატანებით მოკვეთს მას გულს, გონებასა და ხორცს, იმას ღმერთი მიჰმადლის უდიდეს ნიჭს - საკუთარი ცოდვის ხედავს.

ნეტარია სული, რომელმაც იხილა მასში

ჩაბუდებული ცოდვა! ნეტარია სული, რომელმაც იხილა წინაპართა დაცემა, ძველი ადამის სიძველე! საკუთარი ცოდვის ასეთი ხედვა არის სულიერი ხედვა, ღმრთის მადლით სიბრძავესაგან განკურნებული გონებისმიერი ხედვა. აღმოსავლეთის წმ. ეკლესია გვასწავლის, რომ მარხვითა და მუხლისდრეკით შევთხოვთ ღმერთს საკუთარი ცოდვის ხედვა.

ნეტარია სული, ნიადაგ საღმრთო სჯულის შესწავლით დაკავებული! იქ მას შეუძლია ახალი კაცის სახე და მშვენება დაინახოს, მისი მეშვეობით გამოასწოროს თავისი ნაკლოვანებები.

ნეტარია სული, რომელმაც თავი მოაკვდინა ყოველი ცოდვილი საქმის მიმართ და ამით იყიდა სინანულის მიწა! ამ მიწაში ჰპოვებს იგი ცხოვნების ფასდაუდებელ საგანძურს.

თუ უკვე იყიდე სინანულის მიწა, ჩვილივით ღმრთის წინაშე ტირილს შეუდექი. თუ შეგიძლია არ ითხოვო, ნურაფერს სთხოვ ღმერთს, თავი უარყავი და მის ნებას მიენდე. გაიგე, იგრძენი, რომ შენ ხარ ქმნილი, ღმერთი კი შემოქმედი. მაშ, დაუფიქრებლად დაჰყევი შემოქმედის ნებას, შესწირე ღმერთს მხოლოდ ბავშვის ტირილი, მღუმარე გული, რომელიც მზად არის, მის ნებას დაეთანხმოს და მისი ნების ბეჭედი დაიდოს.

ხოლო თუ ყრმობის ასაკის გამო არ ძალგამს ლოცვითი მღუმარება და გლოვა, მაშინ შესწირე ღმერთს შენი მდაბალი ლოცვა, ევედრე ცოდვების შენდობას და ცოდვილი ვნებებისაგან განკურნებას - ისინი საშინელი ზნეობრივი წყლულებია, ნებსითი, ხანგრძლივი დროის მანძილზე გამეორებული ცოდვებისაგან რომ შედგება.

ნეტარია სული, რომელმაც უღირსად შერაცხა თავი ღმრთის წინაშე, რომელმაც განსაჯა თავისი თავი, როგორც ცოდვილი და დაწყევლილი! ასეთი სული ცხოვნების გზას ადგას, ხიბლი მას არ ურევია.

და პირიქით, ვინც საკუთარ თავს მადლის მიღების ღირსად მიიჩნევს, ვინც თხოულობს და მოელის მის საიდუმლო გარდამოსვლას, ვინც ამბობს, რომ მზად არის მიიღოს, მოუსმინოს და დაინახოს ღმერთი, ის თავს იტყუებს, ამპარტავნების ციცაბო კლდის წვერზე დგას, საიდანაც ძალიან ადვილ-

ია წარწყმედის ბნელ უფსკრულში დანთქმა. იქ აღმოჩნდება ყველა, ვინც თავი აღიმაღლა ღმრთის წინაშე, ვინც კადნიერად მიიჩნევს თავს ღირსეულად ღმრთის წინაშე, ვინც საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენისა და ხიბლის ამ მდგომარეობიდან ეუბნება ღმერთს: „ისმენს მონა შენი, იტყოდე, უფალო“.

ყრმა სამოელს ესმა უფლის ხმა, რომელიც მას მოუწოდებდა, და რადგანაც თავი მასთან საუბრის ღირსად არ მიაჩნდა, მოხუცებულ მოძღვარს ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო. მეორედაც ესმა იგივე ხმა და კვლავ თავის მოძღვარს დაეკითხა რჩევას. მოძღვარი მიხვდა, რომ ეს იყო ხმა უფლისა და უბრძანა ყმაწვილს, ასე ეპასუხა: „ისმენს მონა შენი, იტყოდე, უფალო“ (1 მეფ. 3,9).

ამის გამეორებას ბედავს გემოთმოყვარე და ამპარტავანი მეოცნებე, რომელსაც არავინ მოუწოდებს, რომელიც საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენით არის შეპყრობილი, საკუთარ თავში თხზავს რაღაც ხმებსა და ნუგეშებს, ამით ეფერება თავის ამაყ გულს, თავსაც იტყუებს და თავის მალემრწმენ მიმდევრებსაც.

აღმოსავლეთის ეკლესიის - ერთადერთი წმიდა და ჭეშმარიტი ეკლესიის შვილო! შენს უხილავ ღვაწლში ეკლესიის წმიდა მამების რჩევა-დარიგებებით იხელმძღვანელებ: ისინი გიბრძანებენ, რომ ვიდრე სული წმიდის ცხადი მოქმედებით არ განახლებულხარ, უარყო ყოველგვარი ხილვა, ყოველგვარი ხმა, გარეგანი თუ შინაგანი, როგორც ხიბლის აშკარა საბაბი (წმ. გრიგოლ სინელი, ხიბლისათვის).

დაიცავი გული ხილვებისაგან, გაჩენისთანავე განაგდე ყოველგვარი ოცნება თუ წარმოდგენა, რითაც დაცემამ ჭეშმარიტება შეცვალა. სინანულით შემოსილი, შიშითა და მოწიწებით იდექი დიდი ღმერთის წინაშე, რომელსაც ძალუძს განგწმიდოს ცოდვებისაგან და განგაახლოს ყოვლად წმიდა სულით თვისით. სული წმიდა გასწავლის „ჭეშმარიტებასა ყოველსა“ (იოან. 16,13).

გლოვისა და სინანულის განცდა ერთადერთია, რაც ცოდვათა შენდობის მავედრებელ სულს სჭირდება. ესაა კეთილი ნაწილი! თუკი ის გამოირჩიე, ეცადე არასოდეს დაკარგო იგი! ნუ გაცვლი ამ საგანძურს ყალბ, ცარი-

ელ, ნაძალადევ, ვითომ მაღლისმიერ განცდებზე, ნუ დაიღუპავ თავს ტყუილით..

წმ. ისააკ ასური ამბობს: „თუ ზოგიერთი მამა წერს, რომ არსებობს სულის სიწმიდე, სიჯანსაღე, უვნებელობა, ამას იმისთვის კი არ წერს, რომ ჩვენ ნაადრევად დავიწყეთ მათი ძიება და მოლოდინი. საღმრთო წერილი ამბობს: „არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაი ზმნით“ (ლუკ. 17,20). ვის სულშიც ეს მოლოდინი არსებობს, იმან ამპარტავნება და დაცემა მოიხვეჭა. ეკლესია უარყოფს ღმრთის მაღალი ნიჭებისძიებასა და მოლოდინს, ესაა სულის სნეულების ნიშანი“ (სიტყვა 55).

ყველა წმინდანი უღირსად მიიჩნევდა თავს ღმრთის წინაშე, ამით ცხადყოფდა თავის ღირსებას, რომელიც სიმდაბლეში მდგომარეობდა.

ყველა, ვინც ხიბლში ჩავარდა, საკუთარ თავს ღმრთის წინაშე ღირსეულად მიიჩნევდა, ამით მათ გამოამჟღავნეს მათ სულში ჩასახლებული ამპარტავნება და ეშმაკისეული ხიბლი. ზოგიერთმა მათგანმა ანგელოზის სახით მოსული ეშმაკი მიიღო და მას დაემორჩილა, ზოგს ეშმაკები საკუთარი სახით ეცხადებოდნენ და თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს მათი ლოცვით იძლივნენ, რითაც მოღვაწეს საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენის მსხვერპლად აქცევდნენ; სხვები საკუთარ წარმოსახვასა და სისხლს ალაგზნებდნენ, ნერვებს აღიზიანებდნენ, ამ ყველაფერს მაღლისმიერ სიტკბოდ ღებულობდნენ და თავის მოცთუნებას, სრულ დაბნელებას ეძლეოდნენ, ანუ თავიანთი სულით დაცემულ სულებთან ამყარებდნენ ერთობას.

თუ საკუთარ თავთან საუბარი გწყურია, ნუკი მოატყუებ მას, პირიქით, აყვედრე. მწარე წამალი ყველაზე სასარგებლოა ჩვენსავით დაცემულ მდგომარეობაში მყოფთათვის. ვინც თავს იტყუებს, იმან უკვე მიიღო აქ, ამ სოფელში ჯილდო ანუ ხიბლი, ღმრთის მტრობით დაავადებული ამა სოფლის ქება და სიყვარული; იმსოფლად იგი უკვე აღარაფერს უნდა მოელოდეს, გარდა სასჯელისა.

„საღმობაა ჩემი ჩემ წინაშე არს მარადის“ (ფსალმ. 37,18), ამბობს თავის თავზე წმ. დავითი; მისი ცოდვა მარადის მისი განხილვის

საგანი იყო. „რამეთუ უსჯულოებაი ჩემი მე უთხრა და ვზრუნვიდე მე ცოდვისა ჩემისათვის“ (იქვე, 19).

წმ. დავითი თავის თავს განიკითხავდა, ამხილებდა საკუთარ ცოდვას მაშინაც კი, როდესაც ღმერთმა უკვე შუნდო იგი და სული წმიდის მაღლიც კვლავ მიანიჭა. მეტიც: დავითი თავის ცოდვას მთელი სამყაროს გასაგონად აღიარებდა და ამხილებდა.

როდესაც აღმოსავლეთის ეკლესიის წმ. მამები, განსაკუთრებით მეუღაბნოე მამები, სულიერი მოღვაწეობის მაღალ ხარისხს აღწევდნენ, მაშინ მთელი ეს მოღვაწეობა ერთ მთლიან სინანულად იქცეოდა ზოლმე. სინანული მოიცავდა მთელ მათ ცხოვრებას, მთელ საქმიანობას: ეს იყო საკუთარი ცოდვის ხედვის შედეგი.

ერთ-ერთ წმ. მამას ჰკითხეს, რა უნდა იყოს განმარტობული ბერის ძირითადი საქმე? ბერმა კი უპასუხა: „ცოდვით მომკვდარი შენი სული წინ გიდევს, შენ კი მეკითხები, რა უნდა იყოს შენი საქმე?“ გლოვა არის ქრისტეს ჭეშმარიტი მოღვაწის ძირითადი საქმე, გლოვა არის მონაზვნის საქმე მოღვაწეობის დაწყებიდან მის დასრულებამდე.

საკუთარი ცოდვის ხედვა და მისგან შობილი სინანული ის საქმეებია, ამ სოფელში დასრულება რომ არ უწერიათ: საკუთარი ცოდვის ხედვა შობს სინანულს, სინანული კი გვანიჭებს განწმენდას. განწმენდის შედეგად გონების თვალი კაცის მთელ არსებაში თანდათან ისეთ ნაკლოვანებებსა და წყლულებს ხედავს, რომლებსაც უწინ, თავის დაბნელებულ მდგომარეობაში, ვერც კი ამჩნევდა.

უფალო! მოგვმადლე ხედვა საკუთარ ცოდვათა, რათა ჩვენი გონება მხოლოდ საკუთარ ცოდვებზე ფიქრით იყოს შეპყრობილი, ვეღარ ხედავდეს მოყვასის ცოდვებს და ამდენად, ყოველი ადამიანი კეთილად მიაჩნდეს. მომადლე ჩვენს გულებს უნარი, რომ თავი დავანებოთ დამღუპველ ზრუნვას მოყვასის ცოდვებზე და მთელი გულისყური შენს მიერ ნამცნები სისუფთავისა და სიწმინდის მოპოვებისკენ მივმართოთ. მოგვმადლე ძალა, რომ მას შემდეგ, რაც სულის სამოსელი შევბლალეთ, კვლავაც განვასპეტაკოთ იგი: ეს სამოსელი ერთხელ უკვე განიბანა ნათლისღების წყ-

ლით, ახლა კი, შებილწვის შემდეგ, ცრემლთა ნაკადულებით განწმენდა ესაჭიროება. შენი მადლის შუქზე მოგვმადლე ხედვა ჩვენს სულებში ჩაბუდებული ათასგვარი სნეულები-სა, გულში ყოველგვარ სულიერ მოძრაობას რომ კლავენ, სანაცვლოდ კი ზეცათა სასუფეველისთვის მტრულ, სისხლისმიერსა და ხორციელ მოქმედებას ნერგავენ; მოგვმადლე უდიდესი ნიჭი სინანულისა, რომელიც წინ უძღვის და შობს საკუთარ ცოდვათა ხედვას. ამ დიდი ნიჭებით გვიხსენი თავის მოტყუების უფსკრულისაგან: იგი ხომ სულში

იქიდან ჩნდება, რომ ვერ ვხედავთ და არ ვიცით საკუთარი ცოდვები, ვერ ვხედავთ და არ ვიცით საკუთარი გემოთმოყვარება და ცუდმედილობა. ამ დიდი ნიჭებით დაგვიცევე შენკენ სავალ გზაზე და შენამდე მოგვიყვანე, შენ, ვინც მოუწოდებ მონანულ ცოდვილებს და უარყოფ საკუთარი თავის მართალთა შორის შემრაცხველებს, რათა მარადის დიდებისმეტყველებას აღვივლენდეთ შენ, საუკუნო ნეტარებაში მყოფს, ერთ, ჭეშმარიტ ღმერთს, ტყვეთა განმათავისუფლებელს, წარწყმედილთა გამომხსნელს. ამინ.

**არ არსებობს შეუნანებელი ცოდვა.
სინანულისათვის.
სასოწარკვეთილებისათვის.
სასიკვდილო ცოდვები.
არასასიკვდილო ცოდვები.
ცოდვები სიტყვით და საქმით.
აღსარება**

წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს, რომ არ არსებობს კაცის ცოდვა, რომლის აღხოცაც არ შეეძლოს უფალ იესო ქრისტეს სისხლს. რამდენჯერაც არ უნდა გამეორდეს ცოდვა, იმდენჯერ ძალუძს ღმერთკაცის სისხლს მისი განწმენდა. მთელი სოფლის ცოდვებიც კი არაფერია განკაცებული ღმერთის ყოვლადწმიდა სისხლის წინაშე, რომელიც მან ჩვენთვის დაღვარა. „ხოლო იგი იწყლა ცოდვათა ჩუენთათვის და გუემულ არს უსჯულოებათა ჩუენთათვის, წურთა მშვიდობისა ჩუენისა მის ზედა, წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით“ (ეს. 53. 5). განუკურნებელი მხოლოდ ის რჩება, ვინც თვითონ უარყოფს მისთვის და ყოველი ადამიანისთვის მინიჭებულ კურნებას და ცხონებას. ღვთის წყალობა ჩვენ ისე უხვად მოგვეფინა, რომ თუნდაც უმძიმესი ცოდვა, ათასჯერ გამეორებული, მიეტყუება კაცს, თუკი შეინანებს. სინანული სარწმუნოებაა, სინანული

მხსნელისა და გამოსხნის აღიარებაა! სინანული თავგანწირვაა! სინანული არის აღიარება იმ დაცემისა და წარწყმედისა, კაცთა მთელი მოღვმა რომ მოუცავს! სინანული ყოველგვარი კაცობრივი სათნოების უარყოფაა! სინანული მთელი სასოების მხსნელზე დამყარებაა! მხოლოდ მხსნელის მსახურებას აქვს ღირებულება – ფასდაუდებელი ღირებულება! არავითარი, თუნდაც სულ მცირე ფასი არა აქვთ კაცობრივ სათნოებებს! ეს სათნოებები თავიანთ ღირებულებას მაცხოვრის რწმენისაგან სესხულობენ, როცა ისინი ამ რწმენის გამომხატველნი და მაცხოვრის ნების აღმასრულებელნი არიან. სინანული ავსებს კაცობრივ სათნოებათა ნაკლებობას, აკუთვნებს კაცს მაცხოვრის სათნოებებს. ღმერთმა მოგვცა სინანული ჩვენი უძღურებების შემწედ. და თან რაოდენ მრავალფეროვანია ეს უძღურებები! ზოგიერთს სძულს თავისი ცოდვა, მაგრამ იმდენად შეეჩვია მას, იმდენად სუსტია მას-

თან საბრძოლველად, რომ, ჩვეულების მიერ ძლეული, განუწყვეტლივ ვარდება მისთვისვე საძულველ, საძაგელ ცოდვაში. სინანულია უბადრუკი ცოდვილის ნავსაყუდელი! რამდენჯერაც არ უნდა გადაიტანოს კაცმა ზნეობრივი ქარტეხილი, იმდენჯერ შეუძლია ამ ნავსაყუდელს მიაშუროს სულის დამსხვრეული ნავის შესაკეთებლად. ეკლესიის ისტორიამ შემოინახა საუბარი ცოდვისაგან გვემულ ერთ ძმასა და ღვთის წინაშე სათნო მოღვაწეს შორის, რომელსაც ისე უხვად ჰქონდა სულიერი ნიჭები მიმადლებული, რომ „დიდის“ სახელი დაიმსახურა. ძმამ ჰკითხა ღირს სისოი დიდს: „მამო, რა ვქნა? დავეცი“. სისომ უპასუხა: „ადექი“. ძმამ მიუგო: „ავდექი და კვლავ დავეცი“. ბერმა უპასუხა: „ისევე ადექი“. ძმამ ჰკითხა: „რამდენჯერ შეიძლება დავეცი და ავდეგი?“ სისომ უპასუხა: „სანამ ამ სოფლიდან არ გაგიხმობენ“. ამ ამბავს იპოვით პატერიკში, ასევე „წმინდანთა ცხოვრებებში“, სისოი დიდის ცხოვრებაში (ნ ივლისს). სავარაუდოა, რომ წმინდა ძმამ ასეთი პასუხი გასცა ძმას, რომელსაც ცოდვა ჩვევად – ერთგვარ დაუძლეველ თვისებად – ჰქონდა ქცეული: არიან ადამიანები, რომლებსაც ეს უბედურება ემართებათ. სიტყვა „დავეცი“ ნიშნავს, რომ ამ ძმის ცოდვა მძიმე, სასიკვდილო ცოდვა იყო.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთმა სინანული მოგვცა მხოლოდ შემწედ ჩვენი უძღურებისა და არა ცოდვის წასაქეზებლად. ღმერთისგან ბოძებული ნიჭი ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ, მას მოწიწებით, კეთილგონიერულად, ფრთხილად უნდა მოვექცეთ. “ვინც სინანულის იმედით განუწყვეტლივ იმეორებს ცოდვას, ის თვით ღმერთს ექცევა მზაკურულად. ასეთ კაცს უცაბედი სიკვდილი ეწევა”, ამბობს წმ. ისააკ ასური (90-ე სიტყვა). გულმოდგინედ უნდა დავიცვათ თავი საერთოდ ყოველი ცოდვისგან, დიდისა თუ მცირისგან, როგორც ღმერთის მტრობის გამოხატულებისგან.

ყველაზე მძიმე ცოდვა სასოწარკვეთილებაა. ეს ცოდვა აკნინებს უფალ იესო ქრისტეს

ყოველდღეშიდა სისხლს, უარყოფს მის ყოველადღიურ ძალას, უგულბებელყოფს მის მიერ მონიჭებულ ცხონებას და ამჟღავნებს, რომ ამ სულში მანამდე თავდაჯერება და ამპარტავნება ბუდობდა, რომ მისთვის უცხო იყო ღმერთს რწმენა და სიმდაბლე. ყოველ სხვა ცოდვაზე მეტად უნდა ვუფრთხილდეთ სასოწარკვეთილებას – როგორც სასიკვდილო შხამს, როგორც სასტიკ მხეცს. ვიმეორებ: სასოწარკვეთილება უბოროტესი ცოდვაა ყველა სხვა ცოდვას შორის. მომწიფებული სასოწარკვეთილება, ჩვეულებრივ, თვითმკვლელობით ან მასთან ახლოს მდგომი რომელიმე მოქმედებით გამოიხატება. თვითმკვლელობა უმძიმესი ცოდვაა! მისი ჩამდენი სტატუსს თავის თავს სინანულს და ამდენად – ცხონების ყოველგვარ იმედს. წმინდა ეკლესია არ იხსენიებს ასეთ ადამიანს, არ მიიჩნევს წესის აგების ღირსად და არ იძლევა ქრისტიანულ სასაფლაოზე მისი დაკრძალვის უფლებას.

თვითმკვლელობას სიმძიმის მიხედვით სასიკვდილო ცოდვები მოსდევნენ: ასეთებია კაცისკვლა, მრუშობა, მწვალებლობა და სხვა, მათი მსგავსნი. ეს ცოდვები თუმცა ნაკლებად დამღუპველნი არიან, ვიდრე თვითმკვლელობა და მისი წინამავალი – სასოწარკვეთილება, თუმცა კაცს რჩება მათი შენანებისა და ცხონების შესაძლებლობა, მაგრამ მაინც სასიკვდილოდ იწოდებიან. ამ ცოდვებში მყოფი ადამიანი სულთნით მომკვდარად შეივრაცხება, წმინდა ეკლესია არ აძლევს მას ქრისტეს წმინდა საიდუმლოებებთან ზიარების, ღვთისმსახურებაში მონაწილეობის უფლებას და, თუკი მას სიკვდილი შეუნანებელს მოუსწრებს, უეჭველად საუკუნო წარწყმედა მოეწილის. ასეთი ადამიანის სინანული მხოლოდ მაშინ შეიძლება ჭეშმარიტად იქნეს აღიარებული, თუ იგი მიატოვებს სასიკვდილო ცოდვის გამეორებას; მხოლოდ მაშინ შეიძლება მისი დაშვება ქრისტესთან საზიარებლად წმინდა საიდუმლოს მიღების გზით! ამიტომ მთავარი ცოდვის – სასოწარკვეთილებისა და თვითმკვლელობის შემდეგ განსაკუთრებული გულ-

მოდგინებით უნდა დავიცვათ თავი სასიკვდილო ცოდვებისაგან, მტკიცედ და შეურყევლად გადავწყვიტოთ გუნებაში, რომ აღარ გავიმეოროთ ისინი. ხოლო თუ ჩვენდა სავალალოდ მაინც ჩავიდნეთ რომელიმე სასიკვდილო ცოდვას, დაუყოვნებლივ უნდა მივატოვოთ იგი, სინანულით განვიწმინდოთ თავი და ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ მეტად აღარ ვცოდოთ. თუ ისევ და ისევ, რაიმე გარემოებათა გამო, იმავე ცოდვას გავიმეორობთ, სასოწარკვეთილებას არ უნდა მივეცეთ, კვლავ უნდა მივაშუროთ ღვთიებობებულ სულიერ კურნებას – სინანულს, რომელიც მთელ თავის ძალასა და ქმედითობას ინარჩუნებს მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე.

არსებობს კიდევ არასასიკვდილო ცოდვები: ზოგი უფრო მძიმეა, ზოგიც – მსუბუქი. ჯერ მძიმე ცოდვებს უნდა გადავეჩვიოთ, მერე კი მსუბუქსაც. მაგალითად, არასასიკვდილო ცოდვაა ნაყროვანება, ასევე გემოთმოყვარება. ნაყროვანება უფრო უხეში ცოდვაა, ვიდრე გემოთმოყვარება: ამიტომ ჯერ პირველს უნდა დავაღწიოთ თავი, მერე კი მეორესაც. თუმცა არასასიკვდილო ცოდვებიც, როგორებიცაა ნაყროვანება, გემოთმოყვარება, ფუფუნება, უქმისმეტყველება, გართობა და სხვა ამგვარნი, თუკი მთლიანად მოიცავენ ადამიანს, შეიძლება ძალიან მიუახლოვდნენ სასიკვდილო ცოდვებს. ცოდვას, რომელიც იპყრობს ადამიანს, ვნება ეწოდება. ვნება კი, მამების თქმით, საუკუნო სასჯელს იმსახურებს. ამიტომაც არ შეიძლება არასასიკვდილო ცოდვების უგულვებლყოფა, განსაკუთრებით იმას უნდა ვუფრთხილდეთ, რომ რომელიმე მათგანი არ გაიზარდოს და ჩვეულებად, ვნებად არ იქცეს. ამგვარი ცოდვებისაგან განსაწმინდად და საკუთარი თავისათვის თვალყურის დევნების გასაადვილებლად წმინდა ეკლესიამ ყოველ ქრისტიანს წესად დაუდგინა, რომ წელიწადში ოთხჯერ მაინც (უკიდურეს შემთხვევაში – ერთხელ) მიმართოს აღსარების წმინდა საიდუმლოს. აღსარებას ორმაგი სარგებლობა მოაქვს: მიუტევენს კაცს

აქამდე ჩადენილ ცოდვებს და იცავს მათი გამეორებისგან. წმ. იოანე კიბისაღმწერელი ამბობს: „ყოველი, ვისაც წესად აქვს ცოდვების აღიარება, თავს იკავებს ახალი ცოდვის ჩადენისაგან, აღსარება თითქოს ლაგამს სდებს მას; ხოლო ვისაც აღსარება ჩვევად არა აქვს, ის უშიშრად სცოდავს – თითქოს სიბნელეში იყოს“ (იხ. კიბე, 4. 72).

არსებობს სიტყვით ჩადენილი ცოდვებიც. ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვეგონოს უმნიშვნელო! ხუმრობიდან დანაშაულამდე ერთი ნაბიჯია! „სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მათ. 12. 37), თქვა მაცხოვარმა. ენას მრავალი უდიდესი დანაშაული ჩაუდენია: წარმოუთქვამს ღვთის უარყოფელი სიტყვები, ღვთის გმობა, ცრუ ფიცი, მოყვასის ცილისწამება. ქრისტეს უარყოფა და ღვთის გმობა უმძიმეს სასიკვდილო ცოდვებს შორისაა მითვლილი.

არსებობს გონებით, გულით, მიხრა-მოხრით ჩადენილი ცოდვები. არც ისინი არიან მცირე ცოდვები, ისინიც ღმერთის მტრობის გამოხატულებას წარმოადგენენ! მაგრამ როცა გული და გონება ტკბება ცოდვით, უყვარს მისი აღსრულება ჭრელ, ხანგრძლივ ოცნებაში, ასეთი დაფარული შინაგანი ცოდვა უკვე საქმით ჩადენილ ცოდვას უახლოვდება.

ადამიანი უნდა ერიდოს საერთოდ ყოველგვარ ცოდვას. ის ცოდვები კი, რომლებშიც ყოველდღე ვარდება თავისი უძლურების გამო – სიტყვით, საქმით თუ გულისსიტყვით – ასევე ყოველდღე უნდა შეინანოს ღვთის წინაშე, რაც უმჯობესია ძილად მისვლის ლოცვების შემდეგ გააკეთოს. ამასთან, წელიწადში ოთხჯერ უნდა განვიწმინდოს სინდისი აღსარების წმინდა საიდუმლოთი, ხოლო თუ სასიკვდილო ცოდვაში ჩავარდა, დაუყოვნებლივ შეინანოს სულიერი მოძღვრის წინაშე. ღმერთმა დაგვიფაროს უდიდესი სულიერი უბედურების – სასიკვდილო ცოდვისაგან, დაე მანვე მოგვმადლოს ძალა, განვეშოროთ სხვა ცოდვებს – დიდსაც და მცირესაც. ამინ.

როგორი უნდა იყოს პრისკაციის სინანული. თავის მოცთუნება. რჩევა-ღარიბება ცხონების მსურველებს

ღვთის შეწევნით გიპასუხებთ თქვენს წერილზე. თქვა უფალმა: „ვერვის ხელ-წიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა“ (იოან. 6. 44). ამგვარად, თუმცა იარაღი მოწოდებისა ადამიანია, თვითონ მოწოდება ღმერთს ეკუთვნის. მაშ ახლა, როცა გაიგეთ ეს მოწოდება, „ნუ განიფიცხებთ გულთა თქუენთა“ (ფსალმ. 94. 8); ხოლო გულის განიფიცხება, როგორც პავლე მოციქული ამბობს, ცოდვის საცთურით ხდება. „ეკრძალენით, ძმანო, ნუუკუე სადამე იყოს ვისმე თქუენგანსა თანა გული უკეთური ურწმუნოებისაი განდგომად ღმრთისაგან ცხოველისა“ (ებრ. 3. 12).

მე არ გირჩევდით თქვენი ცოდვებისა და მანკიერებების დაწვრილებით გარჩევას. ყველა ისინი ერთად შეაგროვეთ და ღვთის მოწყალების უფსკრულში გადაუშვით. ცოდვების ზედმიწევნით კვლევა არ არის საერო ცხოვრებაში ჩაფლული ადამიანის საქმე: მას ეს მხოლოდ მოწყინების, გაუგებრობის, შფოთის მიზეზად ექცევა. ღმერთმა იცის ჩვენი ცოდვები და, თუკი სინანულით მივაშურებთ მას, თანდათან განკურნავს თვით ჩვენს ცოდვილობას ანუ ცოდვილ ჩვევებს, გულის თვისებებს. სიტყვით, საქმით და გულისსიტყვით ჩადენილი ცოდვები სულიერი მოძღვრის წინაშე აღიარეთ, ხოლო ცოდვილი თვისებების დაწვრილებით ჩხრეკა, ვიმეორებ, ერისკაცს არ შეჭფერის: ესაა ჩვენს სულებზე მონადირე ეშმაკის მახე და სხვა არაფერი. იგი ჩვენში გაჩენილი შფოთითა და მოწყინებით იცნობა, თუმცა გარეგნულად სიკეთის სამოსელშია გახვეული. მონაზვნებს სჭირდებათ ეს შავი საბურველი, რათა დაფარონ მათი გულისა და გონებისაგან გამომავალი მადლის ნათელი; სჭირდებათ ეს შავი საბურვე-

ლი უკვე წარმატებულ მონაზვნებს, რომლებსაც საკუთარ ცოდვათა ხედვა უიმედობაში კი არ ჩააგდებს, არამედ მხოლოდ ამდაბლებს. ასე ეხურა ოდესღაც მოსეს ნათლით გაბრწყინებულ სახეზე საბურველი.

უნდა ვაღიაროთ – და ეს აღიარება სავსებით სამართლიანი იქნება – რომ ჩვენ ყველანი, ადამიანები, მეტ-ნაკლებად თავის მოტყუების მდგომარეობაში ვიმყოფებით, ყველანი მოტყუებულნი ვართ, საკუთარ თავში ვატარებთ ტყუილს. ესაა ჩვენი დაცემის შედეგი, რომელიც მას შემდეგ მოხდა, რაც ტყუილი ჭეშმარიტებად მივიღეთ; ასე ვეცემით დღემდე. ამიტომაც ვართ ესოდენ ცვალებადნი! დილით ერთი ვარ, შუადღეს – სხვა, საღამოს კიდევ სულ სხვა და ა. შ. ორივე სამყარო მოქმედებს ჩემზე, ორივეს კანონებს ვემორჩილები, ორივეს ტყვეობაში ვიმყოფები. სულთა სამყარო აზრებისა და განცდების საშუალებით ახდენს ზემოქმედებას, ფიზიკური სამყარო – ხორციელი გრძნობების მეშვეობით. ორივე აკრძალული ნაყოფის გასინჯვას მთავაზობს. ხორციელ გრძნობებს: ხედვას, სმენას, შეხებას ეს ნაყოფი მშვენიერებად წარმოუდგება; გულისსიტყვა – უხილავი არსების სიტყვა – მკარნახობს და ჩამძახის: „ნახე, გასინჯე!“ იგი ცნობისმოყვარეობით მიზიდავს, ცუდმედლობით მაქეზებს. ჩემს სულში გაისმის მაცთურის ხმა, რომელიც პირველად ჩვენს წინაპრებს მოესმათ სამოთხეში: „იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი“ (დაბ. 3. 5). ჩაგვძახის ეს ხმა და გვაცთუნებს, გვაცთუნებს და გვკლავს. ამიტომაც მიეცათ ადამიანებს ახალი სათნოება – „სიმდაბლე“, მიეცათ ახალი შინაგანი საქმე – „სინანული“. ჭეშმარიტად უცნაურია ეს საქმეცა და ეს სათნოებაც! ისინი სრულიად საპირისპირონი არიან იმისა, რითაც დავეცით. სინანული მოაკვდინებს ხორციელ გულისთქმათა

დამღუპველ გავლენას; სიმდაბლე კი აღზოცს საკუთარ თავზე მაღალ წარმოდგენას, ცუდმედიდობას, „სილალეს ამის ცხოვრებისასა“ (I იოან. 2. 16) – მოკლედ, ყველაფერს, რაც ადამიანს უბრალოდ ჭკუიდან შლის.



მაშ რა ვქნათ? ნუ შეგვაშფოთებს ჩვენს თავს მოწვეული ცვალებადობა, როგორც რაიმე უჩვეულო, ნუ მოვყვებით ჩვენი ცოდვების დაწვრილებით გარჩევას, არამედ ცხოვრება განუწყვეტელ სინანულში გავატაროთ, საკუთარი თავი ყოველმხრივ ცოდვილებად ვადიაროთ და გვწამდეს, რომ მოწყალე უფალი ყოველ კაცს, ვინც თავს ცოდვილად აღიარებს, შეუნდობს, თავის წიაღში მიიღებს და ცხონებას მიანიჭებს. რა თქმა უნდა, იგულისხმება არა სასიკვდილო ცოდვები, რომელთა მონანიებასაც ღმერთი მხოლოდ მაშინ ღებულობს, როცა ადამიანი თავს ანებებს მათ გამეორებას.

შინაური საქმეები და მეურნეობა ძალიან სასარგებლოა: უქმად ყოფნას არ გვაცლის და გონებას უხილავ ბრძოლას უმსუბუქებს. უქმობის შემთხვევაში შინაგანი ბრძოლა ფიცხელ მოღვაწეობას მოითხოვს, ასეთი მოღვაწეობის უფლება კი მხოლოდ მას აქვს, ვინც რაიმე გარემოებებითაა იძულებული ანდა ვინც ის ღმერთმა დააკისრა.

კეთილგონიერება გვკარნახობს, არ წამოვიწყოთ ჩვენს ძალებს აღმატებული ბრძოლა – პირიქით, რაც შეიძლება, შევიმსუბუქოთ იგი. გწამდეთ ყოვლადძლიერი ღმერთი, მთელი სასოება მასზე დაამყარეთ, იცხოვრეთ მტკიცედ და მოთმინებით, იცხოვრეთ უბრალოდ, სინანულითა და სიმდაბლით, თავი ღვთის განგებას მიანდეთ; თუ შემთხვევით სწორი გზიდან გადაუხვევთ, კვლავ დაუბრუნდით მას – და ცხონდებით.



რედაქტორის გვირდი



დეკანოზი ილია ჩიკაიძე

მე ვარ ცოდვილი ადამიანი...

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვებიდან მიყვარს ღმერთი.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვებიდან ვითხოვ შეწყალებას.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვებიდან მინდა გავხდე ნამდვილი ადამიანი.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვებიდან მინდა დავემსგავსო ქრისტეს.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვებიდან მოდის ჩემი სინანული.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვილებიდან ვევედრები უფალს.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვებიდან ვტირი დაცემას ჩემსას.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვებიდან მინდა წამოვიმართო ფეხზე.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვებიდან ვხედავ, რომ ვარ არარაობა.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და მივხვდი, რომ ღმერთი მრავალმოწყალე და ტკბილია.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ღვთის იქით უკვე ველარაფერს ვხედავ.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ღმერთში მარადიული მყოფობა მინდა.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემში არაფერი არ არის წმიდა.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და უფლის საფარველს ველტვი.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ღმერთია მართოდენ საშველი ჩემთვის.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და უფლის გარეშე აღარაფერი ძალმიძს.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ღმერთში ვეძებ ძალას, ხსნასა და გადარჩენას.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ვსასობ უფალს, წამომაყენებს ფეხზე.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ღმერთია მართოდენ მწყალობელი და შემწე.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვები მიმაქვს ღმერთამდე.

მე ვარ ცოდვილი ადამიანი და ჩემი ცოდვილებიდან დავრწმუნდი, რომ სიცოცხლე ღმერთშია...

მე ვარ ცოდვილი ადამიანი...

* * *

მე იმდენი და ისეთი ცოდვები ჩავიდინე, საკუთარ თავზე გული ამერია!

ვიდრე არ დაინახავ საკუთარ თავს და არ შეძრწუნდები, ღმერთს ვერ მიიღებ!

მძიმე ცოდვებით გატანჯულ სულს მკურნალობს ღმერთი!

ნურავის ეგონება, რომ ვნებებმა მძლია, მე ყველას და ყველაფერს ვაჯობე და ამიტომაც ვაკეთებ იმას, რაც საზოგადოებრივი წეს-წყობილებისთვის მიუღებელია.

მე ვნებები აღარ მაქვს, მე უვნებოდ ვცხოვრობ, ამიტომაც ჩემთვის მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორ მოვიქცევი. მე ყველაინარად მოქცევა შემიძლია.

მთავარია, ჩემს ირგვლივ არავინ დაზარალებს, მე ღმერთში ვეღარაფერი შემეხება!

მე მტერი არ მყავს, ყველა ჩემი მოყვასია, ამიტომაც არ განვიკითხავ არავის, ყველამ თავისი საქმე იცის!

სხვის საქმეში რომ ჩაერიო, ჯერ ამის უფლება უნდა გქონდეს, ეს უფლება უნდა მიიღო იმით, რომ მის ადგილზე დადგე, მის მაგივრად გაიარო ყველაფერი-მისი ცხოვრება. ძნელია? ამიტომაც შეეშვი განკითხვას! შენ არ იცი საქმის რეალობა. თეორია სხვაა, პრაქტიკა სხვა!

თეორია არის აბსტრაქცია, პრაქტიკა კი რელიგია. ღმერთი უნდა გაიარო, მიიღო, შეიტკბო და ჭამო. ღმერთი შენია!

ნუ განმიკითხავ, გვიან მიხვდები ჩემს ქცევებს. სჯობს უფლის მცნებები შეასრულო.

ვისაც განკითხავ, მის განსაცდელებს და ცხოვრებას შენს თავზე ითხოვ. ღმერთმა რომ მართლა ასე დაუშვას, გაუძლებ? ამიტომ განკითხვას შეეშვი!

ლოღინით და მოთმინებით მოიპოვება სულიწმინდა. სულიწმინდა ღმერთია! ვინც შფოთისა და განკითხვისკენ გიბიძგებს, გაერიდე. წარწყმედის გზაა!

ვინც არ განიკითხავს, მას არ განიკითხავენ, ამდენად, ნეტარია!..

2020 წელი,
20 თებერვალი

* * *

ქრისტე აღსდგა! სიხარული ჩვენი...
ქრისტე აღსდგა! სიყვარული ჩვენი...
ქრისტე აღსდგა! სიქადული ჩვენი! ქრისტე აღსდგა! სიმართლე ჩვენი...

ქრისტე აღსდგა! სინათლე ჩვენი...
ქრისტე აღსდგა! გადარჩენა ჩვენი...
ქრისტე აღსდგა! განაჩენი ჩვენი...
ქრისტე აღსდგა! გამარჯვება ჩვენი...

გარდამოხდა უნივთო ცეცხლი ზეცით, ეს ნიშნავს, რომ აღდგომაა ღმერთისა!..

გარდამოხდა უნივთო ცეცხლი ზეცით, ეს ნიშნავს, რომ სიცოცხლე გრძელდება!..


გარდამოხდა უნივთო ცეცხლი ზეცით, ეს ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ გვაქვს ღრო!

ქრისტე აღსდგა!

გიხაროდენ!

ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

2020 წელი,
19 აპრილი...



ლიტერატურული ნოვატი



ეთერ ანაშვილი

* * *

ახლა მე ბაღში აღარ შევდივარ,
ტანშიშველ ხეებს არ შერცხვეთ ჩემი,
მე ახლა ბაღში აღარ შევდივარ
და გაზაფხულის ერთგული ვრჩები.
აი, მაშინ კი, მზე რომ გადმოფენს
იმ სააპრილო ჩითებს და ფარჩებს
და ხეხილი კი უხილავ ხილით
თავის საყვარელ თავმანდილს არჩევს.
აი, მაშინ კი, დაკბილულ ჩრდილებს
ოქროს მაკრატლით მზე რომ ასწორებს,
ხეხილებს შორის ხვითოთა ვდგევარ,
ამაყი, ლალი და თავმომწონე.

* * *

ახლა გიჟი თუ ჩავა არაგვში,
არ დაიჯეროს იქნება სხვამო.
მე კი დეკემბრის თოვლიან დარში
არაგვის წმინდა ცრემლებსა ვსვამო.

ახლა გიჟი თუ გაბედავს ამბორს
და იტყვის შენი ტრფიალი ვარო!
ჩემო არაგვო, მართლა ვარ გიჟი,
მაგ შემართების და იმით ვხარობ.

ახლა გიჟი თუ ჩავა არაგვში,
მე კი მაქეზებს თოვლი და ქარი —
შენი გულ-მკერდი ამბორვეო ლოცვით
და გაგატანო გულიც და ქნარიც.

* * *

შენი ლექსივით დამაჭრდა
მტევანი მარცვალ-მარცვალი.
ჩამოვალ, ისევ ჩამოველ —
მოვიდა შემონათვალი.
გზას გავყურებ და ლოდინმა
ლამის გულები დალია.
შეხედე, ვარდისუბანი
ტრფობად ქცეული დალია.
თავპირისმტვრევით მბორგავი
თერგი წკრიალა ლარია,
შენს სათაყვანო მამულში
სულ სიხარულის დარია.
ხმაშეწყობით რომ ვმღერვივართ,
მაგ მოძახილის ბრალია.
გეძახის, დედაშვილობას,
შენი ფუძე და აკვანი,
შენი ბავშვობა გეძახის,
შენი ტკბილ-მწარე არაკი.
შენი ლექსივით დამაჭრდა
მტევანი მარცვალ-მარცვალი.
ჩამოვალ, ისევ ჩამოველ —
მოვიდა შემონათვალი.

* * *

ლამეს ჩემსავით დასცდება ოხვრა,
წავა და ხევში დაიმალება,
მე შენზე ლექსი დამრჩება ოხრად
და თვალი ცრემლით დამენამება.

* * *

რატომ არ გინდა მეც მიწილადო
შენი ფიქრები, შენი დარდები?
ნუთუ ისეთი სუსტი გგონივარ,
ფიფქივით ხელში შემოგადნები?

* * *

ბწკარის წვალეებით დაღლილი ღამე,
დაუწურავი ოცნება ლექსში,
გაფითრდება და ჩრდილებად სადმე
გულადმა მწოლი ოხრავს და ხვნეშის.

* * *

როგორ გითხრა

ახლა სოფელი ძილს ჩაუძირავს
 და ვარსკვლავები ყვებიან ზღაპარს...
 ძალი მთვარესაც უყეფსო ხშირად,
 არ დაყეფს ლაბას,
 ცოხნით რომ ირთობს თავს რიჟრაჟამდე...
 საცრისოდენა თვალეში კამეჩს
 ვარსკვლავიანი ცა ჩაუხატავს...
 სიოს მიჯნური სამღურავს ატანს,
 რომ არ მოვიდა ვენახის თავთან.
 მთვარე საწინდე ბაწარს თუ ართავს,
 გათენებამდე ვერ დაამთავრებს...
 მაგრამ ნიაგმა ჩამოაგლიჯა
 ბაწარს სათავე
 და ვერცხლის სიმაღ
 დაეცა ბავშვის თავსასთუმალთან...
 სოფელს სიზმარი თავით უდევს და
 ღამის ოლარი წამოუხურავს...
 სძინავს მღუმარედ,
 სძინავს უხმოდა,
 მაგრამ მთებს თეჟა გადაუხუნდა
 თუ მტრედის ფრთებმა გაჰკრეს ალიონს,
 მთებზე ნისლების ფარა ბოლავდა,
 ცა ეწეოდა იქნებ ყალიონს...
 მზის სხივს ფერდობზე ფეხი დაუსხლტა,
 ხეებში უნდა წყალი დალიოს.
 სადღაც გაისმის ძროხის ბღავილი
 თოთო ბაღღივით,
 ვიღაც ვიღაცას ეძახის გაღმით...
 ხალხი იღვიძებს,
 იღვიძებს ხალხი
 გულმადლიანი...

აბა, როგორ გითხრა,
 სიმღერების წყარო
 როგორ მოჩანჩქარებს,
 როგორ მომქუხარობს...
 როგორ შეეჯახა
 ირმის რქები გრიგალს,
 ან თვალეში მწველი
 როგორ, როგორ გიგავს
 მთების ელვას ფრთიანს,
 წამწამები მზეზე
 შუბებად რომ კრთიან...
 როგორ გითხრა აბა,
 როგორ მღერის ვერხვი
 ცხრაჯერ დამეწყრილი,
 ცხრაჯერ დამეხილი...
 როგორ გითხრა ახლა
 ჩემს ბუდეში შენზე
 როგორ ვლოცულობ და
 ვწერ ცეცხლიან ლექსებს...
 შენ რა იცი ცეცხლი
 აბორგებულ გულის,
 შენ რა იცი სიტკბო
 მწვანე გაზაფხულის?
 მე კი დამწვა ამ ცამ,
 ამ რაკრაკა წყარომ
 და ეს ჩემი ლექსიც
 მიტომ მომქუხარობს.



* * *

ჩვენი სამშობლოს უბედურება არის ტირანი,
პიტაკე, ღვთისგან შერისხული
ჩვენი ქალაქის ხელისუფალი,
თქვენ რომ ერთხმად ამოირჩიეთ.

* * *

ერთხელ, არისტოდემოსმა,
არც თუ ურიგო სიტყვა
რომ წარმოსთქვა სპარტაში,
ბრძანა: „ფულია კაცი!“
მართლაცდა, ღატაკს არც ღიღება აქვს
და არც პატივი.

ალკეოსი (ძვ. წ. VII ს)

* * *

ღღეს კეთილ ხალხთა ყველა სიკეთე
გადაიბარა ბოროტთა მოღვაძემ
და უცნაურმა კანონებმა მოიღვა ფეხი,
მოკვდა სინდისი და სათნოება,
ხოლო თავხედმა ძალმომრეობამ
ხელთ იგდო მიწა და ჩამარხა შიგ სამართალი.

* * *

ერთი ფასი აქვს
სიმართლეს და უსამართლობას
მდაბალ კაცთათვის,
არ უწყიან მომავლის შიში,
და მრუდე გზით თუ
ცოტას რასმე მოინაგრებენ,
აგრე ჰგონიათ, კვლავაც უკეთ წაუვათ საქმე.

* * *

კიცხვას იმდენად შეეჩვივნენ მოქალაქენი,
რომ დაუჩლუნგდათ მათ გონება
ქალაქის ხსენისა.

* * *

არცა ზედმეტი გამდიდრება
სჭირდება მდიდარს,
არც სიღარიბე ზედმეტი – ღარიბს.

* * *

მე მეგობრები მყიდიან,
მტრებს – თვით ვერიდები,
როგორც მესაჭე ზღვისპირა კლდეებს.

* * *

იუფლე გონი, ენატკბილი იყავი მუდამ,
გულგაფიცხებას სულმდაბალთა ჩვეულებაა.

* * *

სიმაძღრემ მეტი შეიწირა, ვიდრე შიმშილმა,
რადგან უძღებნი
ბედისწერის გასცდნენ სამანებს.

* * *

არ შეიძლება ბრძენი რეგვენს სულ ესაუბროს,
მაგრამ სულ ჩუმად იყოს –
ესეც არ შეიძლება.

* * *

როცა არ ველით,
ბელი მაშინ გვეწვევა ზოგჯერ,
ზოგჯერ კი ვწვალობთ, ველით,
მაგრამ არა ჩანს იგი.

* * *

უგუნური ბეცი მაკვირდება,
ჩემს სულს დარაჯობს,
ჯერაც თავისი ბრიყვი თავი ვერ შეუცვნი!

* * *

მუზათა მაცნემ და მსახურმა ძვირფასი ცოდნა
რად შეინახოს თავისთვის და სხვას უმალოს?
მან ცოდნა თვისი ხელოვნებად თუ არ აქცია,
– სამზეოზე არ გამოფინა – არც არის ცოდნა.

* * *

კეთილშობილი კაცის ენა, თვალი და ყური
სპეტაკი გულის უტყუარი ნაწილებია.

თეოგნიდე (ძვ. წ. VI ს)

*ძველი ბერძნულიდან თარგმნა
გიგლა სარიშვილმა*

მ ე ც ნ ი ე რ ე ზ ა



პერაზ მიქელაძე

– ანთროპოლოგიის დოქტორი (2012),
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
თანამშრომელი.

**ბედისა და მებაღურის
მითო-რელიგიური
ურთიერთმიმართების
საკითხი**

ერთი ქართული ხალხური ანდაზა ამბობს: „ბედი მომეცი და სანეხვეზე გადამაგდეო“. დიახ, თუ ბედი გწყალობს – ღვთის ეს მაღლი თუ საჩუქარი, მაშინ თავი შეიძლება სანეხვესთვისაც გაიმეტო, ვინაიდან იცი, მაინც იპოვნი ბედთან თანაზიარ ბედნიერებას...

ვნახოთ, რამდენად ქართულია „ბედი“, როგორც ლინგვისტური ფენომენი, როგორია მისი მითოსური საწყისი და რელიგიური დიაპაზონი. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „ბედს“ ასე განმარტავს: „ძველი ხალხური ცრუ-რწმენით ზებუნებრივი რაღაც ძალა, რომელიც ვითომც წინასწარ განსაზღვრავდა ადამიანის ცხოვრებას, – განგება, სვე, წერა“¹.

„ბედის“ ამგვარი განმარტება უგულვებელყოფს მის მითო-რელიგიურ საწყისს – არადა, „ბედი“ ხალხური რწმენის საგანია და, რაც ხალხურ წიაღშია დაბადებული არ შეიძლება, რომ „ცრუ“ იყოს.

ბედის თემას საგანგებოდ ეხება ვიქტორ ნოზაძე „ვეფხისტყაოსნის ბედისმეტყველებაში“. მისი მოსაზრებით, სიტყვა „ბედი“ ქართული წარმოშობის არ არის; იგი სპარსულია და მის შესახებ რამოდენიმე განმარტება არსებობს: „ცნება „ბად“ ზარათუშტრას რელიგიაში არის „იზაბა“, ანუ კეთილი ანგელოზი, ქარი, რომელი ჰქრის და მსოფლიოს აღელვებს. მეორე ახსნით, „ბად“ არის დემო-



ნი, ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, რომელიც ირანს თურანიდან თოვლსა და ყინვას აყრის... „ავესტა“-ში სიტყვისათვის ბედი იხმარება „ბახტა“; სომხურში – „ბაჰტ“. ფირდოუსის შაჰ-ნამე-ში მოხსენებული აქვს ბედის სახელად – „ბად“, ცუდი დღე – როზ-ი-ბად. ეს სიტყვა რუსულ ენაში დამკვიდრებულია ვით „ბედა“ და ინგლისურში ვით „ბად“, „ბედ“, ორივე შემთხვევაში – ცუდი, ავი, ბოროტი. იგივე სიტყვა ქართულ ენაში შესულია ვითარცა „ბედი“, რომელიც არის ზოგადი ცნება ცუდისა და კარგის მნიშვნელობით. ახალ სპასულ ენაზე არის სიტყვა – „ბედ“, „ცუდის“ მნიშვნელობით“².

ავტორისვე დასკვნით, „ქართული ცნება „ბედი“ ახალი სპარსულიდანაა ნასესხები, ისე ვით „ჩარხი“, ცის ბორბალის მნიშვნელობით. ქართულ შეგნებას ბედი გაეგებოდა სწორედ ქრისტიანული თვალსაზრისით. ღმერთია ყოვლისა შემქმნელი და ყოვლისა

მპყრობელი; იგი განაგებს მსოფლიოს თავისი ცნობითა და სიბრძნით; მისი გამგებლობა, განგება არის ერთად ერთი და მხოლოდ კანონი მსოფლიოსათვის და ბედიც მას ემორჩილება... ბედის იდეა ერთი მხრივ ეხება კანონს, აუცილებლობას, მეორე მხრივ – კეთილ ყოფას, შემთხვევას და ამასთანავე წინასწარ განჩინებას. ბედი არის ბრმა და ბრძენი, დაუზოგველი და კეთილი, მაიძულებელი და მერყევი, თავისუფლებისათვის ასპარეზის მიძვები, პირადული და უპირადო, ღვთიური და ღემონური⁴³.

ავტორისეული, მრავალმხრივი ანალიზი საგულისხმოა, თუმცა ერთგვარად წინააღმდეგობრივიც. თუკი „ბედი“ ახალსპარსულიდანაა ნასესხები, რომელშიც ის „ცულის მნიშვნელობით“ იხმარება, რატომ გახდა ის ქართულში ერთდროულად „ზოგადი ცნება ცულისა და კარგის მნიშვნელობით“; მით უმეტეს, რომ რუსულსა და ინგლისურში, რომლებიც ინდოევროპული ძირისანი არიან და შესაბამისად, სპარსულთან უფრო ახლოს მდგომნი, ბედ/ბად ფუძე ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი კონოტაციით დამკვიდრდა. მეორეც, ის ფაქტი, რომ ქართულმა „ბედი“ სპარსულიდან მოისესხა და მას პირდაპირ „ქრისტიანული თვალსაზრისი“ მისცა, გვიქმნის ერთგვარ აზრობრივ ვაკუუმს, ვინაიდან „ბედთან“ მიმართებით არსებობს საკმაოდ გაშლილი მითო-სემანტიკური ველი, რომლის უგულებელყოფამ ეს სიტყვა ეროვნულ წიაღს ადვილად შეიძლება მოსწყვიტოს. და მართლაც, „ბედი“ ღვთაებრივი დატვირთვის მქონე სიტყვაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველთა, როგორც ქრისტიანულ, ასევე წინარექრისტიანულ რელიგიურ სისტემაში და ამიტომაც, მისი ნასესხობის შესახებ მოსაზრებას ერთგვარი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

დავუბრუნდეთ ვეფხისტყაოსანს, სადაც მრავალმხრივ იშლება „ბედის“ მითო-რელიგიური არსი. ამ მხრივ, ძალზე ღირებული შენაძენია ვიქტორ ნოზაძის დასახელებული ნაშრომი. ავტორისავე მინიშნებით, ყველამ იცის ვეფხისტყაოსანში, რომ ბედი ღმერთის განკარგულებაშია და მისგანაა დამოკიდებული. ეს კარგად ჩანს თინათინის როსტევიანისადმი მიმართვაში: „ჰე მეფეო! რას ემ-

ღურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა“(113)⁴⁴.

აქ, ღმერთი ბედის სინონიმად გვევლინება კიდევ. ბედთან მიმართებით, მრავლისმთქმელია ვეფხისტყაოსნის ის პასაჟი, როცა სატრფოს მოშორებული ავთანდილი თხოვნით მიმართავს მზეს, როგორც ბედის მნათობს, მალე შეახვედროს თინათინს: „იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად, ვის გმორჩილობენ ციერნი ერთის იოტის წამისად, და ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!(836)“⁴⁵. ვიქტორ ნოზაძის მინიშნებით: „მზე აქ არის ბედის გამგე, ვაჟთათვის სიყვარულის შემწე. რასაკვირველია, ეს არის ასტროლოგიური დებადი“⁴⁶.

ამრიგად, მივიღეთ ერთგვარი საკრალური ტრიადა: ღმერთი-მზე-ბედი⁴⁷.

ბედის ასტრალური გააზრების მოტივი მოცემულია ხალხური გამოთქმით: „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული“. ადამიანის დაბადებასთან ერთად თითქოს აინთება ხოლმე მისი ბედის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომელიც ადამიანის სიკვდილთან ერთად ქრება⁴⁸.

ამრიგად, ქართველთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ადამიანის მიწიერ დაბადებას გარკვეული კავშირი აქვს ასტრალურ სამყაროსთანაც, რასაც ქართველთა უძველესი ასტროლოგიური შეხედულებები უნდა ედოს საფუძვლად. ბედის ასტრალურ გააზრებას მხარს უმაგრებს მისივე სინონიმი – ეტლი, ეტლიანი, რასაც ვეფხისტყაოსანშიც არაერთგზის ვხვდებით. ნ. მარის მოსაზრებით, ძველქართული, ლიტერატურული სიტყვა – „ეტლი“ ნიშნავს როგორც ბორბალსა და ეტლს, ასევე ბედსაც, სიტყვაში – ეტლიანი. ავტორს მიაჩნია, რომ ეტლი იმიტომ შეიძლება ერთდროულად ნიშნავდეს ბედს, წრეს და ბორბალსაც, რომ ერთ დროს მას უფრო ფართო – ცისა და მზის მნიშვნელობაც ჰქონდა⁴⁹.

საგულისხმოა ასევე, რომ „ბედი“ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ვაჟის, ძის მნიშვნელობითაც გვხვდება⁵⁰.

არც აქ არის ასტრალური ასპექტი მხედველობიდან გამოსარიცხი, ვინაიდან ვაჟის დაბადება ქართულ საძეობო პოეზიაში ალე-

გორიულად ოჯახში „მზის შემობრძანებას“ უკავშირდება: „მზე შინა და მზე გარეთა, მზეც შინ შემოდიო... ჩვენ ვაჟი დაგვბადებია, მზეც შინ შემოდიო“¹⁰.

ამასვე გვაფიქრებინებს, ჯვართ ენაზე ვაჟის, მამაკაცის მნიშვნელობით ნახმარი კიდევ ერთი ტერმინი – „ოქროს ბურთვი“¹¹, სადაც ეს უკანასკნელი პირდაპირ ასტრალური მზის ანალოგია. „ბედი“ ასევე გვხვდება უპირობოდ მამაკაცურ ატრიბუტთან შეწყვილებული სახით, კომპოზიტიში – ქუდ-ბედიანი; თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ. ბედის მამრულ ხასიათზე მიგვანიშნებს საახალწლოდ, მეტწილად გასათხოვარი ქალების მიერ ე. წ. ბედის-კვერების გამოცხობის ტრადიცია. თუ კვერი კარგი გამოცხვებოდა, კარგი ბედის მომასწავებლად მიაჩნდათ, თუ კვერი ჩავარდებოდა ან ცუდად გამოცხვებოდა, ცუდ ნიშნად ითვლებოდა¹².

საყურადღებოა ბედთან და შვილიერებასთან დაკავშირებული, აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ერწოში დადასტურებული კიდევ ერთი საახალწლო რიტუალი: „ახალი წლის დილას ოჯახის რომელიმე ახალგაზრდა წევრი უძრახად დგებოდა, აიღებდა პურის ნაჭერს, რომელსაც ერბოში არეულ თაფლსა და ყველს დაადებდა და წყალზე წავიდოდა, პურს წყალში ჩადებდა და იტყოდა: „წყალო, ნიჭი მოგიტანე, ბედი გამომაყოლეო“. ბედი მათი გაგებით შვილიერება იყო“¹³.

ამრიგად, ქართულმა „ბედმა“ ლოგიკურად მიგვიყვანა შობის იდეასთან. მათ შორის არა მხოლოდ იდეური კავშირია, არამედ ლინგვისტურიც, რისი დასტურიცაა ქართული ზმნა – და-ბად-ება (ბად/ბედ ფუძეთა თანხვედრა ახსნას აღარ მოითხოვს), რომელსაც ღვთაებრივ-რელიგიური დატვირთვა აქვს, ვინაიდან სულხან-საბას მინიშნებით, დაბადება არა მხოლოდ „კაცთა შობას“ ნიშნავს, არამედ დასაბამიერი „სოფლის შექმნასაც“¹⁴.

ამ სიტყვის ღვთაებრივ კონოტაციას ზუსტად გადმოსცემს ღმერთის მნიშვნელობით ნათქვამი „დამბადებელი“, რომელსაც ხალხურ პოეზიაში შესაქმეს ძალმოსილება ენიჭება: „ბრძანებდა დამბადებელი, რომ დავდგი მიწამყარო, სუ თავის მორთულობითა შამხდარი მთა და ბარიო. მურგვალთ მო-

ვავლე სამი ზღვა: თეთრი, წითელი შავიო“¹⁵.

ვიქტორ ნოზაძე ვეფხისტყაოსანში ნახმარ „დაბადებას“ უკავშირებს იგივე ბედს, ასტრალურ სამყაროს, ჰოროსკოპს. ავტორის აზრით, მართალია ვეფხისტყაოსანში ჰოროსკოპი პირდაპირ ნახსენები არ არის, მაგრამ რამდენიმე ლექსში ის ნამდვილად უნდა იგულისხმებოდეს: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი; მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!(7). აქ სიტყვა „დაბადებით“ ნიშნავს ჰოროსკოპს, ბედს, რომელიც ტარიელს ერგო ვარსკვლავთა მიერ. ეს „დაბადება“ არის ჰოროსკოპი. ტარიელი ასმათს ეუბნება – ღმერთმან სხვაცა ეტლსა ჩემსა სადმცა კაცი რად დაბადა(275), ანუ: სად და რატომ უნდა დაედადებინა ღმერთს სხვა კაცი ჩემს ეტლზეო? დაბადება ეტლზე, ანუ ვარსკვლავზე თავის თავად ჰოროსკოპს გულისხმობს. აქ დიდად საინტერესოა ის აზრი, რომ ღმერთი ბადებს კაცს რომელიმე ეტლზე, ესეიგი ვარსკვლავურ ბედს თვით ღმერთი ანიჭებს კაცს“¹⁶.

თუკი ბედს ასტრალურ დატვირთვას მივცემთ, ამ შემთხვევაშიც პლანეტა – მზეს უპირველესი და უმთავრესი დატვირთვა ეძლევა, ვინაიდან პიროვნულ ჰოროსკოპს და თუ გნებავთ ბედს განსაზღვრავს ის, თუ ზოდიაქოს 12 ნიშნიდან რომელში იმყოფება მზე პიროვნების დაბადების მომენტში; ასე მაგალითად, თუკი მავანი ჰოროსკოპის მიხედვით, „ვერძია“, ეს ნიშნავს, რომ მისი დაბადების მომენტში მზე ვერძის ზოდიაქოს ნიშანს გადიოდა. ამგვარად, საკრალური ტრიადა – ღმერთი-მზე-ბედი ერთგვარად ლოგიკურ გამართლებას პოულობს.

ვნახოთ რა შინაარს იტევს თავად ქართველთა მითოსური მზის დაბადების მისტერია, რომელიც ქაოტურ წყლებში სამყაროს შექმნის ერთგვარი ანალოგია. ქართველთა რწმენით: „მზე გველზე შემჯდარი ზესკნელისა და ქვესკნელის წყალთა შორის თავისი მოძრაობის აუცილებელ ციკლს ასრულებდა. ღამე ქვესკნელში მზის ჩაძირვის შედეგი იყო, სადაც მას ამ წყლების გამგებელი დრაკონი შთანთქავდა, მაგრამ მზე თავს დაადწვედა და ყოველ დილით ზეცაზე ამობრწყინდებოდა“¹⁷.

მითოსური მზის დაბადება იდეურად უახლოვდება „შესაქმის“ აქტს, ანუ ღვთის სიტყვის გამოვლინებით კოსმიურ, ქაოსურ წყლებში სამყაროს დაბადებას: „სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი!¹⁸“. ამასთან, თავის სადღეღამისო მოძრაობით, ზესკნელისა და ქვესკნელის გამაერთიანებელი მზე მარადიული სიკვდილ-სიცოცხლის ციკლისა და ბუნების ძალთა აღორძინების სიმბოლოა. მითოლოგიური თვალსაზრისით, თუკი არსებობს მიმართება მზესა და ბედს შორის, ბედის ბიპოლარობის იდეა შესაძლოა მითოსური მზის წრე-ბრუნვით აიხსნას, რომელიც ზესკნელში „სასიკეთოა“, ხოლო ქვესკნელში კი, „ავის მოსურნე“. მზის ცხოველმყოფელ ძალას რომ ზოგადად ბედის მონიჭება ძალუძს, ამაზე მიუთითებს ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი საახალწლო რიტუალიც, როდესაც თაფლიანი პურის წყლისთვის გატანებით ბედის გამოთხოვა ხდებოდა. თავად ეს რიტუალიც მითოსური მზის დაბადების ერთგვარი მოგონებაა, სადაც რიტუალურ პურს გამოკვეთილი ფალიური და სოლარული ფუნქცია აქვს¹⁹.

რიტუალის წინასახალწო ბუნება გვაფიქრებინებს, რომ მას შვილიერებასთან ერთად მომავალი წლისთვის ხვაკი და ბარაქაც უნდა დაეხედებინა.

მითოსური მზის ბედთან მიმართებისას მაინც ჩნდება კითხვა თუ რატომ უნდა იყოს ბედის გამგებელი პლანეტა, როგორც კარგი ბედის, ასევე შავი ბედის მიმცემი, მით უმეტეს, რომ მზეს ზოგადად სასიცოცხლო და გამანაყოფიერებელი ძალა ენიჭება. აქვე მოვიგონოთ ისიც, რომ ბერძნულ მითოლოგიაში სწორედ სოლარული ღვთაება აპოლონია, ზევსთან ერთად, „მოირაგეტესი“, ანუ ბედისწერის ქალღმერთების – მოირების წინამძღოლი²⁰.

ბედის ცვალებადი ხასიათი ანუ „ბედის ტრიალი“, რაც მისი წრიული ბუნებითაა გამოწვეული და რასაც ასტრალური რწმენა-წარმოდგენები უღევს საფუძვლად, გამოძახილს ასევე პოულობს სანსკრიტულ სამსარაში, ანუ ადამიანის მუდმივი წრებრუნვის იდეაში, რაც ტანჯვასთან არის დაკავშირებული სანამ არსებობს ე.წ. კარმის კანონი,

რომლისგან საბოლოოდ განთავისუფლებული ადამიანი უკვე სამუდამოდ იშვება ღმერთში.

ამგვარად, „ბედის სიმუხთლით“, ცხოვრებაში გამოწვეული სიძნელებით და ტანჯვით არა მხოლოდ გამოიბრძმდება ადამიანი, არამედ იწმინდება კიდევ, ვინაიდან აღმოსავლური ფილოსოფიით, თავსდატეხილი უბედობა ძველი „კარმიული ვალია“, ცოდვაა, რომლის გამოსყიდვასაც ხშირად ახლავს ტკივილი და ტანჯვა²¹.

შეიძლება ითქვას, რომ წმინდა რელიგიური თვალთახედვით, ბედთან შეურიგებლობა, უკეთესი ბედისთვის ბრძოლა, იგივე ღვთაებრივისკენ სწრაფვა და ინიციაციაა, რაც გულისხმობს თავისუფალი ადამიანის ღმერთში ხელმეორედ შობას. სწორედ ასეთი ადამიანი ხდება „ბედნიერი“ ამ სიტყვის ღვთაებრივი გაგებით და სწორედ ამიტომ მოაქცია ერთ ენობრივ არეალში ქართულმა რელიგიურმა აზროვნებამ „დაბადება“ და „ბედი“. ახლა თუკი მოვიგონებთ იმასაც, რომ თავად უფალი იესო ქრისტეს დაბადება ასტრონომიულად „მზის დაბადებას“ ემთხვევა (25 დეკემბერს, როცა დღე მატებას იწყებს), ბედსა და მზეს რელიგიური შინაარსით კიდევ უფრო დავაახლოვებთ²².

სწორედ ამ სიახლოვის დასტურია ვაჟას ერთი საახალწლო ლექსის პასაჟი: „ბედს ვხედავ, როგორც მზის სხივსა, გაღმომუქებულს გორითა, ვამაყობ, მაღალს ღმერთს ვფიცავ, გამოსადეგის სწორითა“²³.

ქართული ხალხური პოეზიით, თეთრი, წითელი და შავი ზღვის დაბადებით მოცემული უნდა იყოს სკნელთა საკრალური კავშირი: თეთრი – ზესკნელი, წითელი – შუასკნელი და შავი – ქვესკნელი. ამ სამი სკნელის მაკავშირებელია მითოსური მზე, რომელიც ყოველ დღით ქვესკნელური წყლებიდან ახლიდან იბადება, რითაც კრავს სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ წრეს. ასევე უნდა იშვას ღვთაებრივი „ბედნიერების“ მაძიებელიც, რომელმაც უნდა გაიაროს სიკვდილის კარიბჭე და იშვას როგორც მზე-ღმერთი. სიკვდილის კარიბჭის გავლა კი სიკვდილის დამარცხებაა, რაც მიწიერი მოთხოვნისა და ცოდვების სამუდამო დათრგუნვით უნდა მოხდეს. ადამიანი უნდა გათავისუფლდეს „ძველი კაცისგან“, რათა პავლე

მოციქულის თქმით, „გაუქმდეს ცოდვის სხეული“ და ჩავთვალოთ ჩვენი თავი „ცოდვისთვის მკვდრებად და ღმერთისთვის ცოცხლებად ქრისტე იესოში“²⁴.

ინიციაციის, ანუ ღვთაებრივი დაბადების ეს მოტივი თავს იჩენს ქართულ მითსა და ეპოსში. მოვიგონოთ ქართველთა ღვთაებრივი გმირი – ამირანი, რომელიც მზიურ ნიშანს ატარებს. მისი ღვთაებრივი ინიციაცია მოცემულია თეთრ, წითელ და შავ გველეშაპთან შებრძოლებით. თუკი თეთრ და წითელ გველეშაპს ამირანი ადვილად უმკლავდება, შავი გველეშაპი მას გადაყლაპავს; თუმცა, ამირანი აღმასის დანით გამოფატრავს გველეშაპს და თავს დაიხსნის. ამ ბრძოლებში, ამირანს ძმები – ბადრი და უსუპი არ ეხმარებიან – ამ შემთხვევაშიც მოცემული უნდა იყოს „ბედის“ მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ხასიათი. შეიძლება ითქვას, რომ გმირი, რომელიც ძლევს სამ გველეშაპს, რომლებიც ფერთა სიმბოლიკის გათვალისწინებით, სამ სკნელს შეესატყვისება, ხელმეორედ იბადება, როგორც სოლარული გმირი. წყლიდან დაბადების სოლარული მოტივი ჩანს ამირანის ეპოსის სვანურ ვერსიაში, რომლის მიხედვითაც, ამირანი, დედამისის – ღვთაება დალის ანდერძით, აკვნით უნდა დატოვონ იამანის წყაროსთან, სადაც მზის სადარი ვაჟი, ნათლიასაც იპოვის და აღმზრდელსაც²⁵.

ამირანის დაბადების მისტერია გვიმხელს იმასაც, რომ სოლარულ გმირს ღვთაებრივი ნათლიისგან დაენათლა „თორმეტუღელა ხარ-კამეჩის ძალა და მგლის მუხლი“. ცნობილია, რომ ამირანი დღენაკლული დაიბადა, ამიტომაც უბარებს დალი მონადირეს: „როცა ჩემს მუცლიდან გამოიღო შვილი სამი თვე დეკეულის ფაშვში შეინახე, შემდეგ სამი თვე კუროს ფაშვში, რომ რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოს“²⁶.

ამირანის „კუროს ფაშვში მოშუშება“ შესაძლოა დაეუკავშიროთ კუროს თანავარსკვლავედის ზოდიაქალურ ეპოქას (დაახლოებით XXX ს.-დან ვიდრე VIII ს.-მდე ძვ.წ.), რითაც ამ მითის სიძველეცაა ხაზგასმული²⁷.

„კუროს ეპოქის“ გათვალისწინებით, მზის ეკლიპტიკაც შესაძლოა თორმეტი ხარით ყოფილიყო გადმოცემული, მით უმეტეს, რომ ქართული მითოლოგია იცნობს ცის თავანის

ხართან გაიგივებას²⁸.

თორმეტი ხარის სიმბოლიკა, როგორც ცის ანალოგი, შეიძლება გვგვდებოდეს ძველი ალთქმის იმ ეპიზოდში, სადაც ტვიროსელი ხუროთმოძღვარი ხირამი, რომელსაც სოლომონის ტაძრის აგება დაევალა, აკეთებს სპილენძის სამსხვერპლოს და ასხავს სპილენძის ზღვას, რომელიც სწორედ „თორმეტ ხარზე იდგა“²⁹.

ნათქვამის გათვალისწინებით, ამირანის მზიური ხასიათი უნდა ვლინდებოდეს იმაშიც, რომ ის პრაქტიკულად „ფლობს“ მზის წლიურ, ზოდიაქალურ ციკლს, ანუ თუკი საკითხს პლანეტარული, ასტროლოგიური კუთხით მივუდგებით, იგი სრულყოფილ გმირად წარმოგვესახება. გარკვეულწილად ამასვე უნდა უკავშირდებოდეს ამირანის „მგლის ნიშნით“ დადაღვაც, თუკი მოვიგონებთ, რომ სვანეთში გავრცელებული რწმენა-წარმოდგენებით, მგელს შეუძლია თორმეტი მთის გადაღმით მომხდარი განჭვრიტოს და გაიგოს, ანუ ეს ის მანძილია, რომლის გარბენაც მგელს ერთ ღამეში შეუძლია³⁰, რაც შესაძლოა, ასევე მზის ეკლიპტიკას უკავშირდებოდეს³¹.

ღვთაებრივი ბედის სოლარული გაგება თავს უნდა იჩენდეს საკულტო ცხენის სახელში – ბედაური, რომელსაც არამცირედი დატვირთვა ეძლევა ქართულ მითსა და ეპოსში. ხალხური სიტყვიერების მიხედვით, „ცხენი არის მზის ნაწილიანი, ანუ ღვთაება მზის წილხვდომილი, მისი ზებუნებრივი თვისებების მატარებელი. მზის ნაწილიანი ცხენი ჩვეულებრივისაგან გამოირჩევა განსაკუთრებული ნიშნებით, მაგ. „აღმასი უზის თავზედა“, ან ყურებზე სანთლები ენთება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მის მხედარს ხიფათი ემუქრება. მზის ნაწილიანობაზე მიუთითებს ქართულ ზღაპრებში ცხენის რქოსნობაც³².

საკულტო ცხენის სოლარული ხასიათი ვლინდება იმაშიც, რომ ის სააქაო და საიქიო ცხოვრების მაკავშირებელია, ანუ მზიურ ბედაურს სკნელთა შორის თავისუფალი გადაადგილების უნარი გააჩნია. ამის გამოძახილი უნდა იყოს ის, რომ ხევსურები მიცვალებულის მოსაგონრად მართავენ დოღს, რომელშიც მიცვალებულის ე.წ. სუ-

ლის ცხენს პირველი ადგილი უკავია. ამ ცხენს სადოდედ საგანგებოდ კაზმავენ³³.

ნიშანდობლივია ისიც, რომ „სულის ცხენი სახელდადებულია და საიქიოში ის მიცვალებულს უნდა ემსახუროს, ამიტომ მისი კარგი მოვლა და შენახვა საჭიროა. ამ დაკურთხებულ ცხენზე ტვირთის აკიდება არ შეიძლება“³⁴.

მეგრელთა რწმენით, სწორედ „ცხენი იყო მზიური ცხოველი, რომელიც სამყაროს კოსმიური მთლიანობის (სიკვდილ-სიცოცხლის) იდეის სიმბოლოს წარმოადგენდა – მზისგან მოჰქონდა ადამიანის სული და ისევ მზეს უბრუნებდა, მასზე იყო დამოკიდებული ადამიანის ბედი და რადგან ბედის შეცვლა შეუძლებოდა, ცხენს იპარავდნენ, მით ხდებოდნენ მზიური სულის მფლობელები, სხვას (მტერს) კი ასუსტებდნენ“³⁵.

თუკი ღმერთია ბედის გამგებელი, მაშინ სწორედ ბედაური შეიძლება დავინახოთ იმ „თეთრ ცხენშიც“, რომელზედაც იოანეს გამოცხადებით, თავად უფალია ამხედრებული: „ვიხილე ცა გახსნილი, და, აი, თეთრი ცხენი და ზედ მჯდომარე იწოდება ერთგულად და ჭეშმარიტად, და სიმართლით ასამართლებს და იბრძვის“³⁶.

თეთრ ცხენზეა ასევე ამხედრებული ქრისტიანობის უდიდესი წმინდანი და ქართველთა მფარველი – წმინდა გიორგი, რომელიც თრგუნავს გველეშაპს. წმინდა გიორგის ამ იკონოგრაფიულ სახეში შეიძლება ასევე დავინახოთ ქართველთა სოლარული ღვთაების არქეტიპული სახე და თავად მითოსური მზეც, რომელიც ყოველ დილას გველეშაპის პირიდან იბადება³⁷.

წმ. გიორგის დაკავშირება მზის ყოველდღიური „დაბადების ციკლთან“, პარალელს ასევე პოულობს კვდომადი და აღდგენადი ღვთაება ბერი/ბერიკას სახეშიც, რომელიც გამანაყოფიერებელი ძალების მქონე მითოსური მზის ამქვეყნიური ჰიპოსტასია: „ბერიკაობა-ყენობის მთავარი ითიფალური პერსონაჟი „ბერ/ბერიკა“ საქონლის, ადამიანთა გამრავლების, მოსავლიანობისათვის განკუთვნილი ვეგეტაციური, ქთონური და სოლარული ღვთაების ეპითეტია“³⁸.

აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ „ბერი“ – წმ. გიორგის ერთ-ერთი „ღვთაებრივი“ ეპითეტია

და „ბერი გიორგის“ სახით გვხვდება ქართულ ხალხურ პოეზიაში³⁹.

თუკი ბერიკას სახეში მზის ღვთაებრივ-გამანაყოფიერებელ სახეს ვიგულებთ, არ არის გამორიცხული, რომ ბერი/ბერიკაობის რიტუალის ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი „აკორდი“ – ბერიკას წყალში ჩაგდება და მისი გაწუწვა⁴⁰ ქვესკნელური წყლებიდან მზის დაბადების ზემომოყვანილ ციკლს უკავშირდებოდეს. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სიკვდილითა და კვლავ დაბადებით, სოლარულ-გამანაყოფიერებელი ძალის მქონე ბერიკებს ეძლევათ „ღვთაებრივი ბედის“ განკარგვის უნარი – ისინი თავიანთი „მრევლისთვის“ ახალი წლის მეკვლეებად და ზოგადად, გამრავლებისა და ნაყოფიერების დამბედვლებად გვევლინებიან...

კვდომადი და აღდგენადი ღვთაებების ბელთან კავშირი მეხსიერებაში კიდევ ერთი



მებაღურის ქანდაკება ბიჭვინთიდან.
ახ.წ. II-III ს.ს.

საინტერესო პერსონაჟის – ღვთაებრივი მებადურის მითოსურ სახეს აღვიძებს. ასეთი მებადურის ქანდაკება, რომელიც ახ.წ. II-III საუკუნეებით თარიღდება, აღმოჩენილია ბიჭვინთაში, „დიდი პიტიუნტის“ არქეოლოგიური გათხრების დროს: „ფეხშიშველი მებადური ღისკოსებრ მრგვალ საგანზე დგას; ხშირად და ფართოდ დაკეცილი კაბის კალთები, როგორც ჩანს, ზემოთ აუწევია და სარტყლით ზეაწეული დაუმაგრებია. ერთი სიტყვით, მუხლამდე წყალში ისე შევა, რომ არაფერი დაუსველდება. მარჯვენა ხელით, მრგვალი, თავ-ბოლოში სალტიანი კალათი უჭირავს, მარცხენათი – მხარზე გადაკიდებული ბადის სადავე. მებადურს წოწოლა, მაღალკუწუბოიანი ქუდი ახურავს. გამოსახულება ითიფალურია, მაგრამ აშკარად გამოირჩევა კავკასიის ანთროპომორფული ფიგურებისგან, რომლებიც კარგად არის ცნობილი საარქეოლოგიო ლიტერატურაში“⁴¹ (იხ. ფოტო).

რ. რამიშვილის აზრით, ქანდაკება ნათესაურ კავშირს ავლენს კავკასიური ფიგურების იმ ჯგუფთან, რომელსაც ითიფალობა და თავზე რქის გამოსახულება ახასიათებთ. აღსანიშნავია, რიონში და კავკავში, ხევსურეთში, დაღესტანში და სხვაგან აღმოჩენილი მცირე ითიფალური ქანდაკებანი წოწოლა რქისებური ქუდებით⁴².

მებადურის ითიფალობა, მის ღვთაებრივ-გამანაყოფიერებელ ბუნებაზე მიგვითითებს, ისევე როგორც მისი წოწოლა ქუდი, რითაც ეს უკანასკნელი კვდომად და აღდგენად ბერიკას ენათესავება. მართლაც, ბერიკა გამოირჩევა ასეთივე საკრალური, ე.წ. „წიწაკა“, წოწოლა ქუდით⁴³, რასაც ბერიკობის რიტუალში ფუნქციონალური დატვირთვა ეძლევა: „ბერიკა/ყენი წყალში ჩასვლის დროს თავსაბურავს მოიხდის „ქუდს წყალში ამათრევს“ (სოფ. ერედა), ხალხს ქუდით წყალს მიასხამს და დაილოცება; შემდეგ სველ ქუდს თავზე დაიხურავს. ამით იბრუნებს თავის ძლევამოსილებას, სველი ქუდის საშუალებით ნაყოფიერების ძალასთან წილდებული ხდება“⁴⁴.

ჯ. რუხაძის მინიშნებით, კონუსისებრი ქუდი უნდა იყოს ნაყოფიერების რქის იდეის გამომსახველი, რომელიც „ღვთაების

რანგში“ ამაღლებული ბერიკა/ყენი/მეფის ატრიბუტია, ისევე როგორც ხშირად მეფის ღვთაებრივობის იდეა წყვილი რქითაა გადმოცემული ძვ. აღმოსავლეთში. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ შუმერულ და სემიტურ ენებში „რქასა“ და „სხივს“, „ელვარებას“ საერთო ძირი აქვს⁴⁵.

აღსანიშნავია ისიც, რომ „წოწოლა ქუდი“ ქართველ მეფეთა შესამოსელის ნაწილი იყო, როგორც ამას გვიმოწმებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ქართველებს პირველ ერთმეფობასა შინა სცმიათ სხუაგუარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი და გრძელბეწოსანი ეხურათ“⁴⁶.

„წოწოლა ქუდის“ ღვთაებრივ-გამანაყოფიერებელი ფუნქციებიდან გამომდინარე, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ერთ დროს, ქვეყნის მართვა ებარათ მეფე-ქურუმებს, რომლებიც გამანაყოფიერებელ ფუნქციებსაც ითავსებდნენ.

მართლაც, როდესაც წყალში მოხანავე ბერიკა, თავისი წოწოლა ქუდიდან აღებული წყალს, საყოველთაო სიცილ-ხარხარში „მრევლს“ აპკურებს, საფიქრებელია, რომ მით დააბეღებს სიუხვესა და ბარაქას. თუკი გავითვალისწინებთ ბერიკას მზიურ-გამანაყოფიერებელ ფუნქციას, სამკუთხედის ფორმის წოწოლა ქუდი უნდა მივიჩნიოთ უპირველეს ყოვლისა, ფალიკურ-ციცხლოვანი, ზეაღმავალი ენერჯის გამონატულებად. მისი ღვთაებრივი ფუნქციისა და წაგრძელებული ფორმის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული წოწოლა ქუდი იყოს ასევე ანალოგი ოქროს შიბ-საკიდელისა, რომელიც ცისა და მიწის საკრალურ კავშირს გადმოსცემს⁴⁷.

ნათქვამის გათვალისწინებით, ნათელი ეფინება იმასაც თუ რატომ გააერთიანა ქართულმა მითოსურმა აზროვნებამ ქუდი და ბედი ერთ კომპოზიტში – „ქუდბედიანი“. ცხადია, რომ მატარებელი „ბედისა“, რომელიც ჩანასახშივე ღვთაებრივია, ხილული თუ უხილავი ქუდით, იგივე სხივით თუ შიბით ღვთაებრივ სამყაროსთან უნდა იყოს წილდებული. „ქუდბედიანობა“ შესაძლოა ღვთაებრივ ბერიკათა ეპითეტადაც მივიჩნიოთ იმის გათვალისწინებით, რომ მათ, თავიანთი საკრალური ქუდით, სწორედ კარგი ბედის დაბეღება ევალებათ.

კვლამად და აღდგენად ღვთაებებთან წილნაყარია მებადურის მეორე ატრიბუტიც – კალათა, რომელიც მის ღვთაებრივ მეპატრონეს მარჯვენა ხელში უპყრია: „კალათა, კასრი, გუდა, საცერი, კილობანი წარმოადგენდა განაყოფიერების მრავალმნიშვნელოვან სიმბოლოს და განსაკუთრებულ გააზრებას ღებულობდა როგორც საციქველის (სამახარობლოს) სავალდებულო გამოხატების, სასწაულმოქმედი ძალის მქონე ჭურჭელი: ვინც კალათაში ჩადებს შესაწირავს, ღმერთი მისცემს ბარაქას, ვინც ბერას არ დაასაჩუქრებს – გვალვას მისცემს მის ყანას, მელას მისცემს მის ქათმებს“⁴⁸.

ბერიკებს ასევე ხელში სკივრი-კილობანი უჭირავთ, როგორც კვლამა-გაცოცხლების ერთგვარი სიმბოლო: „სკივრში საციქველს (სამახარობლოს) ფულსა და სხვადასხვა შესაწირავს ათავსებდნენ. სკივრი-კილობანი წარმოიდგინება როგორც აკვანი ან კუბო და მას სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოს მნიშვნელობა ეძლევა“⁴⁹.

სკივრი, როგორც სიკვდილისა და აღორძინების სიმბოლო მოცემულია ეგვიპტელთა მზე-ღმერთის, ოსირისის მისტერიაში, როცა სოლარულ-გამანაყოფიერებელ ღვთაებას მისი ბოროტი ბიძა – სეტი სკივრში მოტყუებით ჩასვამს, დალუქავს და ნილოსს გაატანს⁵⁰.

კალათა და მისი მსგავსი საგანი შეიძლება მოკვდავი და აღდგენადი ღვთაების თავსაბურავიც ყოფილიყო, რაზედაც დ. ჯანელიძე მიუთითებს. მასვე მიაჩნია, რომ ბიჭვინთაში აღმოჩენილი ღვთაების (რომელსაც ავტორი მსახიობ-მემღერად მოიხსენიებს) თავსაბურავიც შეიძლება კალათის ტიპისა იყოს: „თუ გავიხსენებთ, რომ განაყოფიერების ღვთაებას, კვირიას, ძველი ქართული ტრადიციით, თავს კალათა, საცერი, ან გუდა ეხურა, მაშინ ყენის თავსაბურავად გამოყენებული მაღალი, წოწოლა, წაწვრილებული ქულის ფორმა შესაძლებელია მევენახეობაში გამოყენებული მოგრძო, პირფართო, და ძირწაწვეტილი გიდელის ფორმიდან მომდინარეობდეს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ბიჭვინთაში აღმოჩენილ დიონისეს ქანდაკთან ერთად მსახიობ-მემღერის ქანდაკი (ახ.წ. II-III საუკ.) ასეთივე გიდელის მსგავსი თავსა-

ბურავით და ხელში კალათით არის წარმოდგენილი“⁵¹.

ავტორისვე დასკვნით, „კალათა კასრი, საცერი, გიდელი, გოდორი, გუდა, სკივრი (კილობანი) განაყოფიერების და შვილიერების ამოუწურავ მნიშვნელობათა შემცველი სიმბოლოებია და ფალოსთან ერთად გამოხატავენ სიკვდილის დამთრგუნველი, სიცოცხლის ამ აღორძინებელი ძალის მძლეთამძლეობას“⁵².

მრავლისმთქმელია მებადურის კიდევ ერთი, უმთავრესი ატრიბუტი – ბადე, რომელიც მისი ღვთაებრივი ბუნების ერთგვარი გასაღებია. თავდაპირველად, აღვნიშნოთ, რომ „მეთევზეობის დაწინაურებაზე ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად მიგვითითებს ქართული ზღაპრული ეპოსი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამირანის მამის სახელი, სულკალმახი, საქართველოში ოდესღაც არსებული თევზის კულტის ნაშთია. იმერეთში მოწმდება თევზის მფარველი ღვთაება ლარსა. ქართველი ხალხის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში თევზი ითვლება ნაყოფიერების სიმბოლოდ, რაც მრავალი ეთნოგრაფიული ფაქტითაა დადასტურებული, როგორცაა საქორწინო თარფი თევზით, კალმახი, როგორც საკურთხის აუცილებელი ატრიბუტი სამეგრელოში, ლოცვა-ვედრება თევზისადმი შვილიერების შეთხოვის მიზნით; გურიაში კალმახის დაკვლა საკალანდო ქვევრის თავზე, ანალოგიური მაგიური დანიშნულება ჰქონდა ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესიის წყლის აუზს, თრიალეთში, სოფ. ჰოლიანქში ეკლესიას მიშენებულ წყლის აუზს, სადაც გაშენებულია ტაბუირებული თევზ-კალმახები და ა.შ.“⁵³.

საქართველოში, კერძოდ, გურიაში თევზის სიმბოლო თავს იჩენს სააღდგომო ცეკვათა ციკლში. ყურადღებას იქცევს ცეკვა – კალმახური, რომელიც ერთპიროვნული იყო. აპოლონ წულადის მინიშნებით, ამ ცეკვას კავშირი უნდა ჰქონოდა საგვარეულო ლოცვასთან (ღლეობა) – „ჭაბუკობა“: „ეს ღლეობა იციან ადრე გაზაფხულზე და იმ დღეს ზვარაკად ჭურის პირზე ცოცხალ კალმახს დაკლავდნენ. ეს არის ჭაბუკობის – ახალგაზრდობის, ტრფობის რიტუალი. კალმახური ცეკვაც ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული“⁵⁴.

საფიქრებელია, რომ კალმახი და ზოგადად თევზი უნდა ყოფილიყო როგორც ნაყოფიერების, ასევე კვლამა-აღორძინების მარადიული სიმბოლო. ამასვე გვაფიქრებინებს, კალმახის მონაწილეობა როგორც საკალანდლო, ასევე აღრესაგაზაფხულო ღვებობათა ციკლში, რომელიც ბუნების ძალთა გამოღვიძებასა და სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ წრე-ბრუნვას უკავშირდებოდა. ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ სულ-კალმახი მამა ღვთაებრივი, მზიური ამირანისა, რომელიც გადის ინიციაციის გზას, ანუ შავი გველშაპის მუცლიდან ხელმეორედ იბადება, ვითარცა მითოსური მზე. ამიტომაც, ღვთაებრივი მებაღურის თევზსაჭერი ბაღეც, სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ.

მებაღურის ღვთაებრივი ბუნება ქრისტიანობაშიცაა ასახული – მოციქულთაგან ოთხი თევზჭერით იყო დაკავებული: „როცა გალილეის ზღვის მახლობლად მიდიოდა, მან დაინახა ორი ძმა: სიმონი, პეტრედ წოდებული, და ანდრია, მისი ძმა; ბაღეებს ისროდნენ ზღვაში, ვინაიდან ისინი მეთევზეები იყვნენ. და უთხრა მათ: მომყევით მე და ადამიანთა მებაღურებად გაქცევით. მათ მყისვე მიატოვეს ბაღეები და გაჰყვნენ მას. იქიდან წამოვიდა და დაინახა სხვა ორი ძმა – იაკობი, ზებედეს შვილი, და იოანე, მისი ძმა, თავიანთ მამა ზებედესთან ერთად ნავში თავიანთ ბაღეებს აკერებდნენ და მოუხმო მათ. მათ მყისვე მიატოვეს ნავი და თავიანთი მამაც და გაჰყვნენ მას“⁵⁵.

თევზჭერის ქრისტიანული მისტიკა შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: „ქვეყანა მთელი თავისი ამოებით, იგივეა რაც ბობოქარი ზღვა; ადამიანთა სულელები კი იგივეა, რაც ცხოველებისეულ ზღვაში თევზები. ბაღე, რითაც მოციქულნი იჭერდნენ ხალხს, ეს არის წმინდა სახარება. როგორც მებაღურს ბაღით ზღვიდან თევზი გამოყავს, ასევე მოციქულთაც, ქრისტეს სახარების ქადაგებით, კაცთა სულელები ამოყავთ ცოდვის ამოებისაგან, ურწმუნოების უფსკრულიდან, ქრისტეს მადლმოსილ ხომალდში... ჭეშმარიტად ბედნიერია ის, ვინც ქრისტეს ბაღეშია მოყოლილი და მართლმადიდებლური ეკლესიის დიდ ხომალდშია მოქცეული“⁵⁶.

ქრისტიანული გაგებით, ბედნიერია ის, ვინც „გაება“ ქრისტეს ბაღეში და მოხვდა მის მადლმოსილ ხომალდში... ქრისტიანული თვალსაწიერიდან, და არა მარტო, თევზსაჭერ ბაღეს შეიძლება თამამად მივანიჭოთ ღვთაებრივი სტატუსი. თითქოს ამ სტატუსის დამამტკიცებელი უნდა იყოს ისიც, რომ ღვთაებრივ-მითოლოგიური დატვირთვის მქონე „ბაღ“ მარცვალი თავს იჩენს როგორც ბაღეში, ასევე დაბადებაში, რომლის მეტაფიზიკური გაგება სწორედ ღვთაებრივ შობას, ანუ „ქრისტე-იესოში დაბადებას“ უნდა ნიშნავდეს. ამრიგად, ღვთაებრივი კონოტაციის ბედსა და დაბადებას დაემატა – ბაღე, რომელიც პროფანული გაგებით თევზჭერას ემსახურება, ხოლო საკრალურით – ადამიანთა „ღვთიურ დაბადებას“. აღსანიშნავია, რომ ბაღეს ლინგვისტურად უახლოვდება – ბუღეც, რომელიც ფრინველთა საცხოვრისის გარდა, შეიძლება საშოს მნიშვნელობითაც გავიაზროთ⁵⁷ და ამ თვალთახედვით, ასევე მოვაქციოთ საკრალურ სიტყვათა არეალში.

თევზჭერა, როგორც საკრალური ინიციაცია, მოცემული უნდა იყოს იოანეს სახარებაში, როცა იესო ტიბერიის ზღვაზე თავის შვიდ მოწაფეს ეცხადება. მოციქულებმა ვერაფერი დაიჭირეს, სანამ უფალი არ გამოეცხადება მათ: „სიმონ პეტრე წავიდა და ხმელეთზე გამოათრია ბაღე სავსე ასორ-მოცდაცამეტი დიდი თევზით და, სიმრავლის მიუხედავად, ბაღე არ გახეულა. იესო ეუბნება მათ: მოდით, ისაუბრეთ. ვერც ერთმა მოწაფეთაგან ვერ გაბედა შეკითხვით: ვინ ხარო, რადგან იცოდნენ, რომ ეს უფალი იყო. მოდის იესო, იღებს პურს და აძლევს მათ. აგრეთვე თევზსაც. ეს უკვე მესამედ გამოეცხადა იესო მოწაფეებს მას შემდეგ, რაც მკვდრეთით აღდგა“⁵⁸.

თევზითა და პურით ევქარისტული ტრაპეზი სრულდება უფლის მიწიერი ცხოვრების დროსაც, როცა იესომ უდაბნოში მშვიერი ბრბო დააპურა⁵⁹.

აღნიშნულით, თევზი სწორედ კვლამა-აღორძინებისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ გვესახება. ნიშანდობლივია, რომ თავად იესო-ქრისტეს, ისევე როგორც ზოგადად ქრისტიანობის ერთ-ერთ სიმბოლოდ სწორედ თევზია მიჩნეული. კიდევ ერთი სა-

გულისხმო დეტალია ყურადსაღები ზემოთ დამოწმებულ იოანეს სახარებაში: მიუხედავად თევზის სიმრავლისა, „ბადე არ გახეულა“, ვინაიდან თავად უფალია ღვთაებრივი თევჭერის წარმმართველი, ხოლო ვინც „ბადეში გაეხვევა“ ის გადარჩება კიდეც. მოვიგონოთ, რომ როცა უფალი თავისთან მოუხმობს იაკობსა და იოანეს, ისინი მამასთან ერთად ნავში ისხდნენ და ბადეს აკერებდნენ, თითქოს უნდა შემზადებულიყო მათი „ბადე“ სამომავლოდ დიდი სულიერი მისიის აღსასრულებლად...

ღვთაებრივი „ბადე“ მითო-რელიგიური ასპექტით დაკავშირებულია ბედთანაც, რომლის ღვთაებრივ ბუნებაზე უკვე გვქონდა საუბარი. საგულისხმოა, რომ ბედიცა და ბადეც იქსოვება. ბერძნული მითოლოგიის დები მოირები ბედის მრთველები არიან: „ლაქესისი ბავშვის დაბადებამდე განსაზღვრავს ხოლმე მის ბედს, კლოთო მისი ცხოვრების ძაფს ართავს, ხოლო ატროპოსი გარდაუვლად აახლოვებს მომავალს“⁶⁰.

როგორც ითქვა, ზევსთან ერთად, მოირების წინამძღოლია, ანუ მოირაგეტესია სოლარული ღვთაება აპოლონი. შეიძლება აპოლონი ამ კუთხით დაგუახლოვოთ მზე-ჰელიოსის შთამომავალ, ღვთაება კირკესაც, რომლის სახელიც ერთ-ერთი ვერსიით, საქსოვ ჩხირს, კირკიტს დაუკავშირდა⁶¹.

ბედის ქსოვის იდეას ერთგვარად უნდა ეხმიანებოდეს ქართული გამოთქმაც – ბედისწერა; აქ „წერა“ და „ქსოვა“, მითოლოგიური თვალსაზრისით, სინონიმებად უნდა მივიჩნიოთ. ბედის ღვთაებრივი გააზრებისთვის ასევე საგულისხმო უნდა იყოს ისიც, რომ იესოს კვართი, რომელიც სვეტიცხოველშია დავანებული, მოქსოვილია ღვთისმშობლის მიერ. გადმოცემის მიხედვით, კვართი სასწაულებრივად უფალთან ერთად იზრდებოდა. თუკი საკითხს მითო-რელიგიური კუთხით შევხედავთ, კვართთან ერთად უფლის „ბედიც იქსოვებოდა“. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ უფლის კვართი, ისევე როგორც ღვთისმშობლისა, საქართველოშია შენახული. ქსოვის მისტიერიის საფუძველი ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებში მიიკვლევა, ვინაიდან ცნობილია „რთვისა და ძაფის კავშირი ქალღვთაებებთან, რაც

გამოხატული იყო ძაფის შეწირვითა და სხვადასხვა აღკვეთებით... ქალღვთაება ლამარია სვანთა შორის ითვლებოდა რთვისა და ქსოვის მფარველად, რომლის რიგი ფუნქცია მოგვიანებით ღვთისმშობელზე გადასულა“⁶².

სვანეთში კვირისტავები ეწირებოდა ნაყოფიერებისა და მზის დედა-ღვთაებას – ბარბოლ/ბარბარეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ იმერეთში, სამელე კლდის ენეოლითური ფენის ნამოსახლარებში აღმოჩენილია ქსოვასთან დაკავშირებული უამრავი კვირისტავი, რომელთა უმრავლესობაზე მზის სტილიზე-ბულ გამოსახულებას ვხვდებით⁶³.

ქსოვისა და მზის კავშირი მოცემულია იმითაც, რომ ნაქსოვის ერთ ყულფს, რგოლს ეწოდება თვალი (ჩხირით, ყაისნალით თვალის ამოღება, ამოყვანა ანუ ქსოვა)⁶⁴, რომელიც მზის აღიარებული სიმბოლოა.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ რაოდენი სიყვარულითა და სინათლით იყო გაჯერებული ყოველი ამოყვანილი თვალი იმ სამოსელისა, რომელსაც დედა-ღვთისმშობელი რუდუნებით უქსოვდა თავის ღვთაებრივ ვაჟს, რომლის აღიარებული სიმბოლოც – მზეა. მითოსური ფესვებით ნასაზრდოებმა ქართულმა ყოფამ კარგად იცის, რომ დედის მიერ ნაქსოვი სამოსელი თითქოს უხილავად ღვთაებრივ საწყისთანაა წილნაყარი და მას მაგიური, დამცავი ფუნქციაც ენიჭება. გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პოეტური შედევრი: ფშაველი ჯარისკაცის წერილი. ლექსის დასაწყისშივე ფშაველი მიმართავს მშობელ დედას და მას ღვთაებრივი ეპითეტით ამკობს: „გულ-მკერდიც აგიყოვდება, დედაო, ია-ვარდითა...“. ია და ვარდი ხომ დიდი დედის, მზიური ნანას ღვთაებრივი სიმბოლოებია⁶⁵.

ბრძოლიდან მობრუნებულ, დაღალულ ჯარისკაცს დედის ხატოვანი სურათი წარმოესახება თვალწინ: „ფიქრით შინა ვარ... საჩიჩლის კბილების მესმის წკრიალი. გიცქერ, მატყლსა სჩიჩ, ფარტენას ცრემლი გისველებს ტიალი! ეგ ხომ ჩემს საჩოხედ გინდა... ნაკურთხი დედის ცრემლითა არ გაიჭრება მახვილით, არ დაიწვება ცეცხლითა...“. აქ დედა პირდაპირ სახეა ღვთაებისა, ვისი მადლით ნაქსოვსა და შეკერილს არც ხმალი ეკარება და არც ცეცხლი...

ქსოვისა და საქსოვი ატრიბუტიკის მზიური ხასიათის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ღვთისმშობლის მიერ ნაქსოვი კვართიც მზიურ-ცეცხლოვანია. ყურადღება მივაქციოთ თავად სიტყვის ეტიმოლოგიურ მხარესაც – კვართი ახლოს დგას კვართან, რომელიც სინათლის, ცეცხლის მომცემია. კვართის სოლარულ ბუნებას განსაზღვრავს ისიც, რომ ის „ბედისწერულია“, ხოლო ბედი, ღვთაებრივი გაგებით, როგორც ითქვა, მზიური სემანტიკის მატარებელია. ერთიანი და დაურღვეველია უფლის კვართი, ისევე როგორც დაურღვეველია ის ხილული თუ უხილავი უფლის ბაღე, რომელმაც ქაოტური და ბოზოქარი ზღვიდან კაცთა სულები უნდა გადაარჩინოს; ამიტომაც ბაღეც ბედისწერულია თავისი ღვთაებრივი დანიშნულებით. თუკი ქსოვის იდეა სოლარულ საწყისს უკავშირდება, ადამიანთა გადასარჩენად ზღვაში მოსროლილი ნაქსოვი ბაღეც შეგვიძლია ხტონური წყლებიდან მზის დაბადების ქართულ მითოლოგიას და ვუკავშიროთ, რითაც ბაღესა და დაბადებას შორის მითო-რელიგიური კავშირი კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება.

წარმოდგენილი მსჯელობის ფონზე თითქოს ქრისტიანულ სამოსელში გაეხვა ღვთაებრივი მებაღურის სახე. არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი, ვინაიდან მისი შექმნის თარიღი უკვე ქრისტიანულ პერიოდს ემთხვევა. ამიტომაც, თავისუფლად იტყვას იგი როგორც ადრექრისტიანულ, ასევე ქრისტიანულ სიმბოლიკასაც. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ნიკო ფიროსმანის მებაღურის პორტრეტიც, რომელსაც საინტერესოდ აფასებს მწერალი ოთარ ჭილაძე: „... არც მისი მეთევზე ჰგავს ბუნებრივ გარემოში მოხვედრილსა და ნადავლით ხელდამშვენებულ მეთევზეს. თუმცა, შარვალაკაპიწებული მდინარეში დგას და ვეება თევზიც უჭირავს ხელში, ერთი სახტად დარჩენილი, გაწბილებული თუ შეშინებული კაცია, მისთვის უჩვეულო, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი და, გეგონებათ, მდინარეც ელანდება და თევზიცო, ანდა, საერთოდ პირველად ხედავს ერთსაც და მეორესაცო... საერთოდ ფიროსმანის ფუნჯის ყველა „ნაშეიერი“ ერთნაირად შემცბარი და გაოცებუ-

ლია, თითქოს არც ერთი მათგანის სულში ჯერ არ დაბადებულა რაიმე ცუდი ზრახვა“. ამგვარად, მწერალს თითქოს სურს ზემიწიერი კონტექსტი მოუნახოს ფიროსმანის ნამუშევრებს. მართლაც, საკმარისია რელიგიურ სიბრტყეში მოვინდომოთ ფიროსმანის მებაღურის დანახვა, რომ მასში აუცილებლად აღმოვაჩინოთ ღვთაებრივ ნიშნებს. მაშინ, მებაღურის ქუდის ნაცვლად შესაძლოა დავინახოთ ღვთაებრივი შარავანდი, რომელიც მოციქულთა სადარი მებაღურის ბუნებრივ ატრიბუტად წარმოგვესახება. არ არის გამორიცხული ფიროსმანის „მებაღურში“ სკნელთა საკრალური კავშირიც ამოვიკითხოთ: ქვესკნელთანაა დაკავშირებული მებაღურის შავი აკაპიწებული შარვალი და წყლის შავი ფონი, შუასკნელთან უნდა ასოცირდებოდეს მისი წითელი ფერის პერანგი, ხოლო ზესკნელთან – მისი ქუდი-შარავანდი, რომელიც მართალია ოქროსფერია და არა თეთრი, მაგრამ მაინც ღვთაებრივია და მზესავით მანათობელი. მებაღური სამივე სკნელის გამგებელია და შესაბამისად, სიკვდილსიცოცხლის მისტერიას ნაზიარები; თითქოს ქაოტური წყლებიდან ის ხელმეორედ იშვა და სამყაროს უცოდველი, მიაბიტური თვალეებით უმზერს... ასეთი თვალსაწიერიდან დანახული ფიროსმანის მებაღური ფუნქციონალურად უახლოვდება კიდევ მის შორეულ არქეტიპს ბიჭვინთიდან...

დავუბრუნდეთ მებაღურის ქანდაკებას. როგორც დავინახეთ, მისი ღვთაებრივი ატრიბუტები: წოწოლა ქუდი, კალათა და ბაღე – განაყოფიერებისა და კვდომა-აღორძინების მარადიული ხატ-სიმბოლოებია. იგი მეკვლე და დამბედვრებელია და დგას კიდევ ღონიერი ფეხებით მრგვალ დისკოზე, რომელიც შეიძლება იყოს ოვალური ფორმის „ბედისკვერიც“ და ასტრალური მზეც, რომლის სრულ ზოდიაქალურ ციკლსაც იგი ფლობს, ვინაიდან ბედის მწერალი და გამგებელია. მებაღურის ფიგურაში აშკარად იკვეთება მისი მამრულ-ფალიური, გამანაყოფიერებელი ბუნება... ალბათ იმიტომაც, რომ თავად ბედი, როგორც სოლარული სიმბოლო, ქართული მითოსური ხედვით, მამრულია, ვინაიდან ის ითხოვს დაუმორჩილებლობასა და ბრძოლას, გამარჯვებისთვის შემართულ,

გაბედულ სულს. ადამიანი იბრძვის უკეთესი ბედისთვის მანამდე, სანამ არ „იშვება ღმერთში“ და საბოლოოდ არ მოიპოვებს ღვთაებრივ ბედნიერებას... სახეზე ორაზროვანი ღიმილითა და ოდნავ მოჭუტული თვალებით, მებაღური თითქოს ჭვრეტს ადამიანთა სულებს და მათ უკეთესი ბედისთვის ამზადებს: თუკი მისი გამართული სარცხვინელი მიწიერ დაბადებასა და განაყოფიერებას ემსახურება, მისი „წოწოლა ქუდი“, „ქედბედი“, თუ „შიბ-საკიდელი“, რომელიც ზეაღმავალი, მამრულ-ფალიური ენერჯის გამოხატულებაა, უკვე ღვთაებრივი დაბადებისა და სრული ბედნიერების საწინდარია.

დასასრულ, ვინაიდან ღვთაებრივი ღატვირთვის მქონე სიტყვას იდეათა სულიერ სამყაროში გადაყვავართ, შეიძლება გამოვთქვათ თვალსაზრისი, რომ ბედი, დაბადება, ბაღე თუ ბუღე ქართველთა უძველესი რელიგიური ცნობიერებით ნასაზრდოები, ერთმანეთის მონათესავე სულიერი ცნებების გამომხატველი სიტყვები არიან, რომლებიც აისახნენ ჩვენს მიერ განხილული ღვთაებრივი მებაღურის მითო-რელიგიურ სახეში, რითაც ამ საკრალურ სიტყვათა ეროვნული წარმომავლობაც უფრო რე დამაჯერებელი ხდება.

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I, თბ., 1950, გვ. 1014.

² ვიქტორ ნოზაძე, ტომი II, ვეფხისტყაოსანის ბედისმეტყველება, თბ., 2005, გვ. 279.

³ იქვე, გვ. 279.

⁴ იქვე, გვ. 284.

⁵ იქვე, გვ. 285.

⁶ ბედის სოლარულ ბუნებაზე შესაძლოა მიგვანიშნებდეს ქართული სიტყვა – აბედი, რომელიც ხის ერთგვარი სოკოა, რომელსაც ტალკვესზე ხმარობენ, ვინაიდან ნაპერწკალს ადვილად იჭერს და უალოდ იწვის. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I... გვ. 58.

⁷ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I... გვ. 1014.

⁸ Н. Март, Из Пиренейской Гурии, Известия Кавказского Историко-Археологического Института, Тифлис, 1927, გვ. 22.

⁹ ზ. კიკნაძე, ანდრეზები, თბ., 2009, გვ. 355.

¹⁰ ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 25.

¹¹ თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 131.

¹² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I... გვ. 1018.

¹³ ჯ. რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999, გვ. 159.

¹⁴ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 84

¹⁵ ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1986, გვ. 98.

¹⁶ ვ. ნოზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 293.

¹⁷ მ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ., 2001, გვ. 131.

¹⁸ დაბადება I.

¹⁹ პურის სოლარულ ხასიათზე მეტყველებს ვ. ბარდაველიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საწესო პურის სახელი – კვერი, რომელიც კერიის ნაცარში ცხვებოდა, ეტიმოლოგიურად ახლოს დგას კვართან (სინათლის წყარო), კერასთან და სოლარულ ღვთაება კვირიასთანაც, ვისთვისაც თავად ეს რიტუალური პური იყო განკუთვნილი. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тбилиси, 1957, иб. გვ. 14. ამასთან, მრგვალი პური (ყველაზე არქაული) ძველ ქართულში, რომელსაც „გურგვალს“ უწოდებდნენ, წრიული ფორმების გამოვლენაა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქართული კულტურისთვის და შექმნილია ასტრალური რწმენა-წარმოდგენების კვალობაზე. იხ. გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007, გვ. 135.

²⁰ ბერძნული მითების სამყარო, ზღვა და მიწისქვეშეთი, მცირე ღვთაებანი, თბ., 1998, გვ. 86.

²¹ ამ თვალსაწიერადან, თუკი „ვეფხისტყაოსნის“ გმირი, ტარიელი ბელშერისხულია (ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე (277)), ეს შესაძლოა იმითაც ყოფილიყო გამოწვეული, რომ ნესტან-დარეჯანში უზომოდ შეყვარებულმა ტარიელმა მოაკვდინა მისი სრულიად უდანაშაულო სასიძო, რისთვისაც ბედმა თუ განგებამ მიჯნურნი დასაჯა და კარგა ხნით ერთმანეთს დააშორა. სანამ ერთურთს თავიდან შეეყვებიან ტარიელმაც და ნესტან-დარეჯანმაც განწმენდისა და ტანჯვის გზა უნდა გაიარონ...

²² შესაძლოა უფლის აღდგომაშიც ღვინაზე დაკვირვებით „მზის ამოსვლის“ იდეა, თუკი მეგრულად აღდგომა არის თანაფა, ანუ გათენება.

²³ ვაჟა-ფშაველა, საახალწლოდ.

²⁴ რომაელთა მიმართ, თავი 6, 6, 11.

²⁵ მიხეილ ჩიქოვანი, მიჯნაჭკული ამირანი, თბ., 1947, გვ. 110, 117.

²⁶ იქვე, გვ. 357.

²⁷ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 103

²⁸ „ღმერთმა ქვეყანა და ადამიანი რომ გააჩინა, დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რომელი პირუტყვი გამოადგებოდა ადამიანს. დაუძახა ირემს და ხარს. უბრძანა: გაიქცით და ვინც უფრო მალე გადაურბენს ცას, იმას დავასაჩუქრებო. ირემმა დაჰკრა ქუსლი და გაფრინდა. უნდოდა, ხარისთვის ეჯობნა. მაგრამ დიდი სირბილისგან გაიბერა ირემი და მოკვდა. ცაზე მხოლოდ მისი ნაკვალევი დარჩა, რომელსაც ირმის ნახტომი ჰქვია. ხარი კი დინჯად წავიდა, ცოხნით. გვიან მიაღწია, მაგრამ მაინც მივიდა. ხარის ნაკვალევიც დააჩნდა ცას, რომელსაც ხარის ნავალი ეწოდება. ამის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ხარი, დაულოცა ქედი და მას აქეთ ხარს აწევს ადამიანის შენახვის ტვირთი“.

ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, თბ., 2007, გვ. 246.

²⁹ ძვ. აღთქმა, მეორე ნეშტთა, თ. 3-4.

³⁰ В. Бардавелидзе, Древнейшие... გვ. 44.

³¹ ნათქვამს მხარს უმაგრებს ისიც, რომ ეტრუსკული რწმენა-წარმოდგენებით, ზოდიაქოს ცენტრალური ფიგურა – ლომი, რომელიც მზის ზომორფული სახეა, ხშირად მგლით ან ქიმპერით ჩაინაცვლება ზოლმე. G. Feo, Miti, Segni e Simboli etruschi, 2003, გვ. 29.

³² თ. შარაბიძე, სულის, ცხენის და მზის სიმფონია, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლები V, თბ., 2003, გვ. 172.

³³ ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, გვ. 203.

³⁴ იქვე, გვ. 206.

³⁵ თ. შარაბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

³⁶ გამოცხადება იოანესი, თავი 19, 11.

³⁷ ნათქვამის საილუსტრაციოდ, კვლავ მითოლოგიურ წიაღში განვიხილოთ წმინდა გიორგის ხატება. ვიქტორ ნოზაძის შეხედულებით, „თეთრი ანუ წმ. გიორგი არ არის მთვარის კულტის წარმომადგენელი, წმ. გიორგი სწორედ მზის კულტის გამომსახველია“. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, თბ., 2006, გვ. 209, 210. ამასთან, „ზეპირი გადმოცემის თანახმად, საქართველოში იმდენივე წმ. გიორგის სალოცავია რამდენი დღეცაა წელიწადში... მის კულტში ამკარად იკვეთება სოლარული ელემენტები“. Н. Абакелия, Миф и ритуал в западной Грузии, Тбилиси, 1991, стр. 21, 22. მზესთან კავშირზე მიუთითებს წმინდანის 365 ნაწილად დანაწევრებაც, რაც მზის წლიური კალენდრის ალეგორიული გამოვლინებაა. მას უკავშირებენ წარმართობისდროინდელ თეთრი გიორგის კულტს... ყურადღება მივაპყროთ წმ. გიორგის სოლარულ ბუნებას, საიდანაც უნდა იღებდეს დასაბამს მისი გამანაყოფიერებელი ასპექტიც. ქართული ფოლკლორის მასალები ამტკიცებენ, რომ „ქრისტიანული წმ. გიორგის კულტს საქართველოსა და კავკასიაში წინ უსწრებდა ნადირთ პატრონის მამაკაცური კორელატის კულტი“. ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 125. ეს კულტი ემყარებოდა წარმოდგენას ბუნების ყოველწლიური სიკვდილისა და განახლების შესახებ, რაც მონადირეობის ხანაში უკავშირდებოდა ნადირის, როგორც ადამიანის ძირითადი სასიცოცხლო წყაროს კლებას ზამთარში და მის გამრავლება-გამოჩენას გაზაფხულზე. ნაყოფიერი ნადირობის შემდეგ, ჯგრაგს, იგივე წმ. გიორგის ეწირებოდა ნანადირევი მამალი ნადირის მარჯვენა ბეჭი (ინფორმაცია მომავლად ზემო სვანეთის მკვიდრმა, მონადირემ – ნუგზარ ნიგურიანმა, რომელიც ჩავეწერე სვანეთში საველე ექსპედიციის დროს 2008 წლის ივლისში.), რითაც ამ ღვთაების მზიური ხასიათია ნაჩვენები, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მარჯვენა ხელის სიმბოლიკა მზის გა-

მანაყოფიერებელ ძალებს უკავშირდება. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წმ. გიორგის არქეტიპი, ნადირთპატრონის მამაკაცური კორელატის კულტი, რომელიც ემყარებოდა წარმოდგენას ბუნების ყოველწლიური სიკვდილისა და განახლების შესახებ, ასევე უკავშირდებოდა მზის ყოველწლიურ ციკლს – ქვესკნელში ჩასვლასა და დილას ხელმეორედ დაბადებას, რითაც „ყოველდღე მეორედ“ ბოდა ქაოსიდან სამყაროს შექმნის აქტი“. მ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრ., გვ. 72. თავად სამონადირეო მითოსის არსი ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს: „ქაოსს უფრო ხშირად დრაკონი განასახიერებდა. მას ქვეყანაზე წესრიგის დამამკვიდრებელი ღვთაება უნდა დაპირისპირებოდა: იგი უნდა ყოფილიყო დრაკონის მკვლელი და ახალი წესრიგის დამფუძნებელი. იგივე იდეას გულისხმობდა მითებში მონადირის შეხვედრა ცხოველთან. ღვთაებრივი ნადირობა არაერთი მითის საფუძველი იყო...“ იქვე, გვ. 93.

³⁸ ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

³⁹ ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, თბ., 2007, გვ. 113.

⁴⁰ „გვალვის თავიდან ასაცილებლად და უხვი მოსავლის მისაღებად ყენს არა მარტო წყალში ჩასვამენ, არამედ შიგ აბანავენ კიდეც“. ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

⁴¹ ანდრია აფაქიძე, „დიდი პიტიუნტი“ – არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, თბ., 1975, გვ. 119.

⁴² ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

⁴³ იქვე, გვ. 141.

⁴⁴ იქვე, გვ. 142.

⁴⁵ იქვე, გვ. 145.

⁴⁶ ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973, გვ. 46

⁴⁷ ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია... გვ. 219.

⁴⁸ დ. ჯანელიძე, სახიობა, თბ., 1980, გვ. 49.

⁴⁹ იქვე, გვ. 48.

⁵⁰ ეგვიპტური მითოლოგიის ლექსიკონი, თბ., 2005, გვ. 37.

⁵¹ დ. ჯანელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

⁵² იქვე, გვ. 52.

⁵³ თ. ცაგარეიშვილი, ქართველები, საქართველოს ეთნოგრაფიული მემკიდრეობის დაცვის ფონდი, თბ., 2010, გვ. 31.

⁵⁴ ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971, გვ. 97, 98.

⁵⁵ მათე 4: 18,19,20,21,22.

⁵⁶ მათეს სახარების განმარტება წმინდა მამათა სწავლების მიხედვით – მასალების შემკრები, მთარგმნელი და გამმართველი – წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე შიომვილი.

⁵⁷ ბუდეში იდება კვერცხები და იჩეკება ბარტყები. გარდა ამისა, ბუდე ნიშნავს „საიდანაც რამე წარმოიშვება, სათავე“. ბუდეა გარსი, რომელშიც მოთავსებულია ნაყოფი ღედის მუცელში. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I..., გვ. 1158.

⁵⁸ იოანე 21: 11,12,13,14.

⁵⁹ მარკოზი 6: 34-44.

⁶⁰ ბერძნული მითების სამყარო, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

⁶¹ მ. ერქომაიშვილი, კირკეს მითი და მისი ინტერპრეტაცია ანტიკურ ლიტერატურაში, თბ., 2002, გვ. 55.

⁶² ი. სურგულაძე, ტყავის სიმბოლიკა და ტყაოსნის მითოლოგემა ქართულ მითოსში, თბ., 2010, გვ. 5.

⁶³ ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 155,156.

⁶⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი IV, თბ., 1955, გვ. 392.

⁶⁵ В. Бардавелидзе, Древнейшие... გვ. 79.



**წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის
სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოამბე“**

ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას


**მკითხველს ვთხოვთ, მოუფრთხილდეს ჟურნალს
მასში გამოქვეყნებული მასალების გამო**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

გოჩა სოზიაშვილი

რეგისტრაციის № 34-4-114

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი.



დეკანოზ ილია ჩიკვაიძის ღრუბვა-კურთხევით, „საქართველოს მოაზნის“
ბიბლიოთეკამ გამოსცა XX სუკუნის უნიჭიარესი ქართველი პოეტის,
ეთარ ანაზვილის (1929-2003) თხზულებათა | ტომი.

ეთარ ანაზვილი

მე დავიქყებ,
რთვთრუკ
აბრიდრის
ზერუკა...



თხზულებანი
I

